

ეროვნული ბიბლიოთეკა

619
1970

# დროშა

№ 9 სექტემბერი 1970



ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 9 (406) სექტემბერი, 1970 წ

გამოცემის წელი 48-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ელიას ტბაზე. აქედან იწყება შირაქი.    ფოტო თ. არჩვაძისა.




ეროვნული ბიბლიოთეკა

11990

საბჭოთა კომუნისტების მრავალმილიონიანი არმია, მთელი ჩვენი ხალხი გატაცებით ემზადება სკკპ მორიგი XXIV ყრილობისათვის, რომელიც მომავალი წლის მარტში შეიკრიბება. ყრილობის მოწვევის ამბავმა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის რიგებში. პარტია, რომელიც მეთაურობს და ავითარებს მასების შემოქმედებითს აქტივობას, მათს მეცადინეობას წარმართავს ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, კომუნისტური იდეალების თანმიმდევრულად განხორციელებისათვის. ლენინის მიერ შექმნილი და გამობრძმედილი კომუნისტური პარტია მთელი ჩვენი საზოგადოებრივი სისტემის, მთელი საბჭოთა ხალხის კოლექტიური გონების წარმმართველი ბირთვია.

მოხსენებაში „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „ჩვენ არ გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს სხვა პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეეძლოს ისე სავსებით და თანმიმდევრულად გაითვალისწინოს, ერთმანეთს შეუთანხმოს და წარმართოს ინტერესები და მოთხოვნილებები ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფისა, ყველა ერისა და ეროვნების, ჩვენი საზოგადოების ყველა თაობისა, როგორც ამას აკეთებს კომუნისტური პარტია“.

სსრ კავშირის ძლიერების მთავარი წყარო საზოგადოდ ისაა, რომ ხალხი და პარტია ჩვენში სოციალ-პოლიტიკურად და იდეურად ერთიანნი და შედუღაბებულნი არიან; ყოველი ყრილობა კომუნისტური პარტიისა — მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია ჩვენი გმირული გზისა და მით უფრო, განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობით არის მიმართული საბჭოთა ადამიანების ფიქრები სკკპ XXIV ყრილობისკენ. ის, რომ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები უკვე მოქმედების პროგრამად იქცა, — XXIV ყრილობისათვის საქმიანი სამზადისის მაუწყებელია. ყველამ კარგად იცის, რომ ეს გადაწყვეტილებები ხელს შეუწყობენ საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდასა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას და, რაც ყველაზე მთავარია, ეს გადაწყვეტილებები კიდევ უფრო განამტკიცებს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირს.

მზადება XXIV ყრილობისათვის ემთხვევა საბჭოთა საქართველოს ისტორიის დიდ თარიღებს; ჩვენი ხალხი ულრმესი ენთუზიაზმით ემზადება, რათა აღნიშნოს საბჭოთა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავი. ჩვენს ხალხს ეს დღესასწაული მიაჩნია ოქტომბრის სახელოვან ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებული ზეიმის განგრძობად.

ქართველი ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორია საქართველოს კომუნისტური პარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნაცადი, მებრძოლი და ერთგული რაზმი. საქართველოს კომპარტია მუდამ ზრდიდა და ზრდის ჩვენს ხალხს მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მუდმივი მზადყოფნის სულისკვეთებით, დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწევა, რომ მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია დარაზმოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, კომუნიზმის აშენებისათვის საბრძოლველად.

ამ დიადი თარიღებისათვის მზადების სულისკვეთებით უნდა გაიმსჭვალოს მთელი ჩვენი საქმიანობა ეკონომიკისა და კულტურის მშენებლობის ყველა უბანზე. ღრმად ავსახოთ საქართველოში მომხდარი რევოლუციური გარდაქმნები, ქართველი ხალხის მიღწევებისა და გამარჯვებების ისტორიული მნიშვნელობა, მისი მამაცობა და გმირობა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის სახელოვან გზაზე — ასეთია ამოცანა ჩვენი პრესისა, რომელმაც, როგორც ყოველთვის, ახლაც სრულად უნდა გამოიყენოს თავისი, როგორც კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და მასების ორგანიზატორის მთელი შესაძლებლობანი. ამ ამოცანის ღირსეულად გადაწყვეტა — ჩვენი ყველაზე დიდი პატრიოტული მოვალეობაა.

საქ. კპ ცკ გამომცემლობა

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



# ელმავლები და წიწილები



ეროვნული ბიბლიოთეკა

„...ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიაჩნია, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ტექნიკური აღჭურვის ამოცანის გადაწყვეტაში მონაწილეობა უნდა მიიღოს, როგორც წესი, მრეწველობის ყველა დარგმა. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ არც ერთი ქარხანა, მიუხედავად მისი საუწყებო დაქვემდებარებისა, ამ დიდი და კეთილშობილური საქმისაგან განზე არ დარჩეს.

მთელი რიგი საავიაციო ქარხნები ამზადებენ მოწყობილობას მეფრინველეობისათვის. მათ საქმე ისე მოაწყეს, რომ ეს სრულიად არ უშლის ხელს ძირითადი პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებას“.

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი ს მოხსენებიდან ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე.**



ფოტო შ. ჩხეტიანისა და თ. არჩვაძისა

არსენ კობაიძე და ვასილ პაპინაშვილი.

ზოგჯერ დიდი საქვეყნო საქმე, ერთი შეხედვით, თითქოსდა უბრალო შემთხვევით იწყება. მაგრამ კარგად რომ დაუკვირდეს კაცი, დაინახავს, რომ ეს შემთხვევა კი არ იყო, ეს არ შეიძლებოდა არ მომხდარიყო.

შემთხვევით როდი მოხდა, რომ შირაქის უმდიდრესი კოლმეურნეობის თავმჯდომარე არსენ კობაიძე მოსკოვს გაემგზავრა. არც ის იყო შემთხვევით, რომ იმავე დღეებში მოსკოვისაკენ აიღო გეზი სახელგანთქმულმა თბილისელმა ზეინკალმა ვასილ პაპინაშვილმა.

ისინი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები იყვნენ.

ერთიმეორის სახელი გაგონილი ჰქონდათ, პირადად კი მანამდე არსად შეხვედროდნენ.

და აი, ახლა კი ნამდვილად შემთხვევით მათ სასტუმრო „მოსკოვის“ ერთ ნომერში მიუჩინეს ბინა.

არსენ კობაიძე და ვასილ პაპინაშვილი კრემლიდან, სესიის სხდომიდან რომ დაბრუნდნენ სასტუმროში, მაშინღა შეათვალიერეს ერთიმეორე და ორივეს გაუხარდა კარგი მეზობელი. შრომასა და ჯაფაში გამოწრთობილმა ვაჟკაცებმა — ზეინკალმა და მხვნელ-მთესველმა ერთიმეორეს უმალ გაუგეს — ერთი საათის შემდეგ ისინი უკვე უბრალო ნაცნობები კი არა, ახლო მეგობრები იყვნენ.

ორივე მათგანს სასახელო შრომამ გაუთქვა სახელი. ზეინკალმა ავჭალის ელმავალმშენებელი ქარხანა და თავისი დაზგა გაიხსენა, ხოლო ზემო ქედელმა თავმჯდომარემ დიდი და პატარა შირაქის მინდვრები. კობაიძე მოუთხრობდა ზეინკალს თავისი სოფლის ამბებს, უყვებოდა დიდ რუისა და შავმთის ბარაქიან ყანებზე, ზილიჩისა და ალაზნის ვენახებზე, მეცხოველეობაზე, მეფრინველეობაზე, იმაზე, თუ რა თავდადებით ილვწიან ზემო ქედელები, რომ საქვეყნო დოვლათს რაც შეიძლება მეტი მისცენ პურიც და ღვინოც, ყველიც და კარაქიც, ხორციც და რძეც... ლალიანია შირაქის მიწა, ბარაქიანი, არ გიმტყუნებს, ოღონდ შენც ზრუნვა და სიყვარული არ უნდა მოაკლო. ამიტომ ჩვენებურებზე კარგის მეტი არაფერი მეთქმის...

— ძალიან მიხარია მაგის გაგონება, ჩემო არსენ, — უთხრა ზეინკალმა, — მაგრამ ერთი რამ მაინტერესებს. ჩვენი მწერლებიცა და ჟურნალისტებიც ამ ბოლო ხანს ჟურნალ-გაზეთებში ხშირად ჩივიან — სოფელში ახალგაზრდობა აღარ ჩერდება, მოხუცებს შეატოვეს ხელში ყანაცა და ვენახებიცო. თქვენთან, ზემო ქედში როგორ არის ეს საქმე?

— ჩვენთან? — დინჯად გაიმეორა კითხვა არსენამ, — გეტყვი და არ გაგიკვირდეს: ეგ მტკივნეული პრობლემა ჩვენთვის არ არსებობს.

— როგორ, კაცო? — უფრო ახლოს მიიწია ზეინკალმა და ყურადღებად იქცა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ახალგაზრდა, ვაჟი თუ ქალი, ცხადია, უმაღლეს განათლებას ესწრაფვის, ეს გასაგებიც არის და სასიხარულოც. ეს ზემო ქედშიც ასეა. და მაინც ამ სწრაფვამ ხელი არ შეუშალა იმას, რომ მინდორშიც და ფერმებშიც ისევ ახალგაზრდობამ შეასრულოს თავისი მოწინავე როლი. დაამთავრებენ თუ არა საშუალო სკოლას, მაშინვე მოდიან ჩემთან — საქმე მოგვეციო. თუ დროზე არ გაამწესე ბრიგადასა თუ ფერმაში, წაგეჩხუბება კიდეც — და მეც ეს მომწონს, მიყვარს საქმეზე დახარბებული კაცი, ვატყობ, გულიანად მოეჭიდება მიწას. ეს მარტო ზემო ქედზე კი არა, მთელ წითელ წყაროს რაიონზე შემიძლია ვთქვა. ჩვენს წინაშე, წელანაც გითხარი, ეგ პრობლემა არ დგას.

— მერედა, რით ხსნით ამას?

კობაიძე წუთით ჩაფიქრდა, მერე გაუღიმა ზეინკალს და თქვა:

— ხომ იცი, მიწას უყვარს, როცა გაირჯები, მაგრამ კაცსაც უყვარს, როცა მიწა იმ გარჯას დაგვიფასებს. ხომ გასაგებია, მიეცი შესაძლებლობა, შეუქმენი პირობები და მშობელ მიწას ვინ გიჟი გაექცევა! თუ წავა სოფლიდან, მერე ან აგრონომად დაგიბრუნდება, ან ზოოტექნიკოსად, ან მასწავლებლად, ან ინჟინრად; მეტი წილი კი საშუალო სკოლას რომ ამთავრებენ, მაშინვე ბრიგადებისა და ფერმებისაკენ ისწრაფვიან. უბრალო არითმეტიკაა — ზემო ქედს 6.666 ჰექტარი მარტო სახნავ-სათესი ფართობი უჭირავს, სამოცდასამი ტრაქტორი გვაქვს, სათვალავით და არა თხუთმეტძალიანზე გადაყვანით, სამოცდაცამეტი სატვირთო და სამი მსუბუქი მანქანა, ოცდახუთი კომბაინი, მისაბმელ მანქანა-იარაღებს რა მოსთვლის... ათას ორასი სული ძროხა გვყავს, ცხრამეტი ათასი ცხვარი, სამი ათას ხუთასზე მეტი ღორი, ფრინველი — ორმოცდაშვიდი ათასამდე ფრთა, ხუთასი ოჯახი ფუტკარი... იანგარიშეთ რამდენ ხალხს მოითხოვს ეს ქონება, ეს ტექნიკა? ახალგაზრდობა მხარში რომ არ გვედგეს, რას გავწვდებოდით?

— მიწამაც უნდა დაუფასოს კაცსო, — წელან ასე დაიწყე...

— მეც მაგიტომ დავიწყე შორიდან, — უთხრა არსენამ, — რა თქმა უნდა, უმაგისოდ ნაბიჯს ვერ გადასდგამ. ჰოდა, მდიდარი კოლმეურნეობიდან არავინაც არ გაიქცევა. აი, ეს არის ერთადერთი გადაჭრა იმ პრობლემისა. უბრალო გადაჭრაა, მაგრამ ნამდვილი და ჭეშმარიტი. აქ სხვადასხვა ფაქტორებიც არის — მორალური, ფსიქოლოგიური, მაგრამ მთავარია მატერიალური სტიმული. უეჭველად ჩამოდი ზემო ქედში, დაინახავ, როგორ ცხოვრობენ ჩვენებურები... იმასაც მიხვდები, თუ რატომ არ გარბის ახალგაზრდა ქალაქისაკენ... მშვენიერი სახლი უდგას კაცს, ტელევიზორით, რადიომიმღებით, მაცივრით, სარეცხი მანქანით, ელექტროგანათებით. სად წავა თავის მიწიდან, რად მოაკლოვებს იქაურობას.

ავტომატიზაციის და მექანიზაციის საამქროს ოსტატი ალბერტ მარანჯევი და კოლმეურნეობის ინჟინერ-მექანიკოსი მოსე ჩქარეული.



მოწინავე მექანიზატორი ნიკოლოზ მელიქიშვილი.

ზემო ქედის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმა.



— რომელ დარგს უფრო ესწრაფვიან?

— ახალგაზრდობას უფრო მექანიზმებისაკენ მიუწევს გული. ბიჭები ავტომანქანებს, ტრაქტორებს, კომბაინის საჭეებს მიელტვიან, ქალიშვილები — ფერმებსა და ვენახებს... იქაც, ვენახშიც, მწვანე ოპერაციების, გასხვლისა და ყურძნის კრეფის გარდა, თითქმის ყველაფერი მექანიზებულია.

— ერთი სიტყვით, რაღა ჩვენი ქარხანა და რაღა შირაქის მინდორი!

— მართალი ხარ, მაგრამ არც ისე გაუჭირვებელია ჩვენი საქმე. ამ მექანიზაციასა და ავტომატიზაციაზეა დამოკიდებული მთელი ჩვენი ცხოვრება და არც იმას დაგიმალავ, რომ თუ გვიჭირს რამე, ყველაზე მეტად მანდ გვიჭირს. ვინმე რომ გვყავდეს ისეთი... ხელს რომ წაგვახმარდეს, ვალში არ დავრჩებოდით.

— მაინც რა სახის დახმარება გჭირდებათ?

— რა და, პროფტექნიკურ სასწავლებელში წელიწადში თხუთმეტ ახალგაზრდას ვგზავნით, ეს ცოტაა, გვაკლია სპეციალისტები — ზეინკალი გვინდა, ხარატი, შემდუღებელი; გარდა მაგისა, ათასი წვრილმანი რამ, რასაც ვერსად იშოვი, და ერთი დიდი ქარხანა რომ დავიძმობილოთ, ჩვენს ბედს ძაღლიც აღარ დაჰყეფდა.

სათქმელი ნათქვამი იყო.

— მესმის, ჩემო არსენ, მესმის, რასაც მეუბნები. აი ჩემი ხელი, — დაძარღვული მარჯვენა გაუწოდა ზეინკალმა, — რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ: ჩავალ თუ არა თბილისში, მაშინვე მოველაპარაკები მთავარ ინჟინერს. ბიჭებს ვეტყვი, გაუხარდებათ კიდეც, ვიცი, უკან არავინ დაიხევს...

— აგრე იყოს, — ჩამოართვა ხელი არსენამ.

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა მეგობრებმა საუბარი დაამთავრეს. მოსკოვი უკვე ძილში იყო წასული, მხოლოდ დაბლა, პროსპექტზე ხანდახან თუ გაიქროლებდა დაგვიანებული მანქანა.

* * *

თბილისიდან გაგზავნილი დეპეშა ლაკონური იყო: ზემო ქედი, არსენ კობაიძეს. ჩამოდით შეფობას ვიღებთ თქვენზე.

ხელშეკრულების გაფორმებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ზემო ქედელმა კოლმეურნეებმა უკვე პრაქტიკულად იგრძნეს თბილისელი მეგობრების ძმური დახმარება.

ადრეული გაზაფხულის დილა იდგა, წითელ წყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კანტორის კარი საშუალო ტანის შავგვრემანმა კაცმა შეაღო.

— მე თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის ინჟინერი ვარ... თქვენთან ჩამოვედი!..

მოსკოვში დაწყებული საქმე უკვე ხორცს ისხამდა. ელმავალმშენებელი ქარხნის მთავარი ენერგეტიკის განყოფილების უფროსი ინჟინერი ნიკოლოზ კიკნაძე კიდევ რამდენჯერმე ჩავიდა ზემო ქედში. სოფელში ენერგეტიკოსის სამუშაოს რა გამოლევს! ნიკოლოზი ხან საწველი აგრეგატების მოწყობაში ეხმარებოდა მეცხოველეებს, ხან რჩევა-დარიგებას აძლევდა გლეხებს, ხან რას აკეთებდა და ხან რას.

ამ ორიოდე თვის წინ, ზემო ქედელმა კოლმეურნეებმა თავიანთი ძველი მეგობარი ნიკოლოზ კიკნაძე ერთხელ კიდევ საგანგებოდ მიიწვიეს სოფელში.

— საწიწილეს ელექტროგანათება და გათბობა გადავწყვიტეთ! უნდა დაგვეხმარო! — მოკლედ აუწყა არსენ კობაიძემ ინჟინერს.

როგორც ცნობილია, წიწილებს ზრდის პროცესში სხვადასხვა ტემპერატურა სჭირდებათ. მაგალითად, ახლად გამოჩეკილი წიწილებისათვის 37-38 გრადუსი ტემპერატურაა საჭირო, წამოზრდილ წიწილებს შედარებით უფრო ნაკლები სითბო — 30 გრადუსი სჭირდებათ, ვარიკების სადგომში კი 18-20 გრადუსი ტემპერატურა უკვე სავსებით ნორმალურ გარემოს წარმოადგენს.

ინკუბატორში საჭირო ტემპერატურების მუდმივად დაცვა ძნელი საქმეა, იგი დიდ დროს, სახსრებს და მუშახელს მოითხოვს, მაგრამ ის, რისი გაკეთებაც ასე უძნელდება ადამიანს — მეტად სწრაფად, იოლად და უშეცდომოდ აკეთებს ელექტროავტომატური ღუმელი.

დაამონტაჟებთ საწიწილეში ელექტროავტომატურ ღუმელს, სპეციალურ გრაფაზე რეგულატორის საშუალებით საჭირო ტემპერატურას დააყენებთ, ჩართავთ და ელექტროღუმელი თქვენი დახმარებისა და მეთვალყურეობის გარეშე, საწიწილეში თვითონვე ავტომატურად ინარჩუნებს მუდმივ საჭირო ტემპერატურას.

პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ მეფრინველეობის ფერმებში ღუმელების დამონტაჟება არა მარტო დროს, სახსრებს და მუშახელს ანთავისუფლებს, არამედ დიდ საწარმოო ეფექტსაც იძლევა: წიწილები უფრო მხნედ და ენერგიულად გრძნობენ თავს, წონაშიც იმატებენ და სიკვდილიანობაც მცირდება.

თბილისელი ინჟინერი ნიკოლოზ კიკნაძე მთელ თვეს გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა სამუშაოს, სოფლის რამდენიმე ენთუზიასტ ახალგაზრდასთან ერთად, ერთი კვირა თავი არ აუწევია, და ზუსტად დანიშნულ დღეს ელექტროღუმელებით გაწყობილი საწიწილეები ჩააბარა კოლმეურნეობას.


ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხრე კლასის მოსწავლე ოთარ ჩოხელი. ოთარი მომავალი მექანიზატორია.

მარცხნივ — ინჟინერი ნიკოლოზ კიკნაძე, მარჯვნივ — სოციალისტური შრომის გმირი, ზეინკალი ვასილ პაპინაშვილი.





მეფრინველეობის ფერმა. მარიამ ხარებაშვილი (მეფრინველე) და ასლან ქიქაძე ამოწმებენ ელმავალმშენებელი ქარხნის მუშების მიერ დამონტაჟებულ ელექტროავტომატურ ღუმელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქარხნისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელები აფორმებენ ხელშეკრულებას.
ცენტრში — ქარხნის დირექტორი ალექსანდრე ბუაძე.

* * *

მეგობრობა, რომელსაც მოსკოვში ჩაეყარა საფუძველი, თანდათან გაფართოვდა, განმტკიცდა, გაღრმავდა და მუშათა კლასის და გლეხობის ძმური მეგობრობის და თანამშრომლობის ჭეშმარიტად ამაღელვებელ ფაქტად გადაიქცა.

თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის კოლექტივმა ზემო ქედელი კოლმეურნეებისათვის დახმარების გაწევა თავის ღვიძლ საქმედ და პატრიოტულ მოვალეობად მიიჩნია. სოფლისაკენ დაიძრა ქარხანაში დაზოგილი მრავალი საჭირო მასალა — საჭრისები, ურიკების ბორბლები, ხრახნის მოსაჭრელი იარაღები, მილები, ელექტრომოწყობილობა, იზოლატორები. ქარხანას გადაწყვეტილი აქვს თავისი ძალებით სოფელში ხუთ კილომეტრზე მოაწყოს დღის სინათლით განათება, შეაკეთოს ელექტროძრავები, შენობებში შეცვალოს მოძველებული ელექტროგაყვანილობის ქსელი.

შენდება მეფრინველეობის ახალი ფერმა, რომელიც მთლიანად მექანიზებული იქნება. მას მოემსახურება მხოლოდ ოთხი ადამიანი: მექანიზმების და ელექტრომოწყობილობის მთლიან მონტაჟს აკეთებენ ელმავალმშენებელი ქარხნის მუშები.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე არსენ კობაიძე (მარჯვნივ) ამოწმებს შესრულებულ სამუშაოს.



ზემო ქედელი კოლმეურნეები შრომაში არც აქამდე ირცხვენდნენ თავს, ახლა კი, როცა თბილისელი მუშები ასე საიმედო ბურჯად ამოუდგნენ მხარში, კიდევ უფრო მაღალი და სახახელო მაჩვენებლებით ამთავრებენ სამეურნეო წელს. კოლმეურნეებმა სიტყვა დასდეს დიდი გადაჭარბებით შეასრულონ ხორბლის, მზესუმზირას, ბაღჩეული კულტურების, ბოსტნეულის, ყურძნის, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, თივის დამზადების გეგმები.

— აღარ გვეშინია, — დაიმედებით ამბობს არსენ კობაიძე, — თუ რამე გაგვიჭირდა, მაშინვე მეგობრებს მივაშურებთ!.. დარწმუნებულები ვართ, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა არაფერში შეგვეშალოს ხელი.

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა ახალი ძალით გაალვივა ზემო ქედელი კოლმეურნეების და თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის მუშების მეგობრობა.

პლენუმის დამთავრებიდან ხუთი დღის შემდეგ ზემო ქედში საგანგებო დავალებით გაემგზავრნენ ქარხნის დირექტორის თანაშემწე ვ. გაბელია, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე რ. მზარელუა და № 12 ელექტროსარემონტო საამქროს უფროსი გიკაშვილი. დელეგაცია ადგილზე გულდასმით გაეცნო კოლმეურნეობის საჭიროებებს, სოფლის თავკაცებთან ერთად ყველაფერი დეტალურად აწონ-დაწონა და კონკრეტული ღონისძიებების პროექტი შეიმუშავა ახალი ხელშეკრულების დასადებად.

30 ივლისს ზემო ქედელები თბილისში ჩამოვიდნენ. ეწვივნენ ქარხანას და ხელშეკრულება გააფორმეს.

პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის კოლექტივი დიდ დახმარებას გაუწევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი აღმავლობის საქმეს. ელმავალმშენებლები ზემოქედელ კოლმეურნეებს უმოკლეს დროში მოუმზადებენ მექანიზატორთა კადრებს, ხარატებს, შემდუღებლებს, კიდევ უფრო გააფართოებენ კოლმეურნეობისადმი ტექნიკური დახმარების გაწევას, ხელს შეუწყობენ მეფრინველეობის ახალი ფაბრიკის მოწყობას.

ქარხნის საამქროში მორიგი შეკვეთა რომ მიდის, ოსტატს სპეციალურ ქაღალდს აძლევენ, რომელშიც აღნიშნულია, თუ რა უნდა გაკეთდეს და რა დროისათვის. იმ ქაღალდებს, რომლებიც ზემო ქედის კოლმეურნეობის შეკვეთებისათვისაა გამიზნული, ირიბად გასდევს სტამბური წესით დაბეჭდილი წარწერა — „მწვანე გზა მეგობრის შეკვეთას".

სასახელო შრომას ეწევიან თბილისელი მეელმავლეები. მათი ხელით აგებული ელმავლები გუგუნით მიმოჰქრიან საბჭოთა ქვეყნის თვალუწვდენელ გზებზე, და, ამავე დროს, ელმავლის ოსტატები ზრუნავენ, რათა უფრო უხვი და ბარაქიანი იყოს შირაქის ყანები და ზვრები, უფრო მეტად იმრავლოს იქაურმა ძროხამ და ცხვარმა, ფრინველმა და ფუტკარმა.

ოთარ დემეტრაშვილი.

# მესხეთი ებრძვის ეროზიას

ვინც საქართველოს მიწა-წყალს კარგად დაჰკვირვებია, შეამჩნევდა, რომ მიწები ეროზიისაგან ყველაზე მეტად დაზიანებულია იმ მიდამოებში, სადაც ისტორიულად, საუკუნეთა მანძილზე, ყველაზე მეტად, ყველაზე ხშირად აწყდებოდა შემოსეული მტერი.

ერთი ასეთი ადგილი იყო ძველი მესხეთი, დიდი შოთას აკვანი.

სეფიანთა ირანის ისტორიკოსი ჰასან-ბეგ რუმლუ, რომელიც XVI საუკუნეში ცხოვრობდა, თავის წიგნში „აჰსან ათ-თავარიხ“ („უმშვენიერესი ისტორიათაგანი“) ასე აღწერს მესხეთს:

„მთელი ის ქვეყანა ტყე იყო ისეთი, რომ ხეებში, მათი სიხშირის გამო, სიო გაჭირვებით იძროდა“.

შემდეგ იქვე აღნიშნულია, რომ ყიზილბაშთა ლაშქარმა „ის მხარეც მოარბია, ნადავლად ვარდლაწვებიანი ქალიშვილები და მზიური სახის ყმაწვილები ჩაიგდო ხელში“.

ესეც არ იკმარეს ყიზილბაშებმა, „სოფლები და მხარეები ააოხრეს, ყანები და ხეები ძირიანად ამოგლიჯეს მიწიდან და გამარჯვებულნი უამრავი ნადავლით დაბრუნდნენ შინ“.

ასე წერს თვითონ სეფიანთა ირანის მემატიანე. ხოლო ქართველი მემატიანე აღნიშნავს, რომ მესხებმა გამარჯვებულ მტერს მაინც მიუზღეს სამაგიერო, „სადაც მოიხელეს ყიზილბაში, მოკლეს“.

მაგრამ ქვეყანა აოხრებული იყო.

აუარებელი ასეთი შემოსევა ახსოვს მესხეთის მიწას, ბევრჯერ მოსულა აქ ყიზილბაშიც, ოსმალოც, და მათი ნამხეცევი, მათი ნაკვალევი ახლაც ატყვია აქაურ მიდამოებს.

სოფელ უდეში ყურადღებას იპყრობს მეშვიდე საუკუნეში აშენებული მაღალგუმბათიანი ეკლესია. ოდესღაც ის ისეთ ტევრში ყოფილა ჩაფლული, რომ თურმე ჯვარიც კი არ ჩანდა. შორიდან მომავალ მგზავრს მარტო მთიდან შეეძლო დაენახა ჯვარი და ისე მიაგნებდა ხოლმე ამ წმინდა სახატესო, — ამბობენ უდელები.

მესხეთში დიდი ხანია შეწყდა მტერთა თარეში, მაგრამ მოძალადემ იმდენად შემუსრა აქაური მდიდარი ბუნება, რომ მიდამო ქარისა და ნიაღვრების სათარეშოდ გადაიქცა, ბევრგან ნიაღვარმა ჩარეცხა სახნავი ფენა; ძველ მესხთა ნასახლარებზე მოისპო კედელ-ყორეთი ამოშენებული საბოსტნე თუ ხეხილის საბაღე ტერასები.

ოქტომბრის შუქიანმა მზემ კვლავ აღორძინა ძველი მესხეთი. სიცოცხლემ ლაღად გაიხარა ამ მიწაზე, და ახლა საბჭოთა ადამიანების თავისუფალი შრომა აქ სასწაულებს ახდენს — პარტახებს ბაღნარებად აქცევს.

ასეთი სურათი დაგვიდგება თვალწინ, საითაც უნდა გაიხედოთ.

ვარხანის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა შარშან ქვა-ღორღისა და ჯაგნარებისაგან გაწმინდეს ეროზირებული მდელოები, შეიტანეს სასუქები, გამოთესეს ბალახები და წელს თივის საუკეთესო მოსავალიც აიღეს.

წყლისმიერი ეროზიით დაზიანებულ ფერდობების აღდგენა-განახლებისათვის განსაკუთრებით დიდი შრომა გასწია სოფელ ზანავის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადამ (ბრიგადირი ნ. იობიძე); აქ ჯერ დაატერასეს ფერდობები და პირველ ხანებში პირუტყვის საკვები ბალახები დათესეს, რომ აღედგინათ ნიადაგის ნაყოფმომცემი ფენა. ამ გზით შვიდი ჰექტარი ფართობი გამოსტაცეს პარტახს, ხოლო პირველმა ბრიგადამ, იმავე ხანში ცხრა ჰექტარი ეროზიით გაპარტახებული მიწა მოხასხასე მდელოდ აქცია.

ადიგენის რაიონში ღონიერ მეურნეობად ითვლება სოფელ არალის სასოფლო-სამეურნეო არტელი. აქაური თავმჯდომარე ვანო ზაზაშვილი მუდამ ენთუზიაზმით ეკიდება ბუნების სიმდიდრის დაცვისა და გამრავლების საქმეს. წელს აქ 24 ჰექტარზე აშენებენ ქარსაფარ ზოლს, რომლისთვისაც გულდასმით მოამზადეს პლანტაჟი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებმა ბუნების დაცვისა და ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე — ახალი ძალა შემატა ადიგენის რაიონის მშრომელებს.

— წელს ექვსას ჰექტარ დაქარულ ფართობზე დავთესეთ მრავალწლიანი ბალახი, ორას ექვს ჰექტარზე გავაშენეთ ქარსაფარი ზოლები და ხელოვნური ტყე. ეს ფართობები ადრე არავითარ ნაყოფს არ იძლეოდნენ, — გვითხრა რაიონის მთავარმა აგრონომმა ს. ზაზაშვილმა.

მთის მდინარე ქვაბლიანმა გაზაფხულზე, თოვლის დნობისა და ხშირი წვიმების დროს გაგიჟება იცის, გადმოდის ნაპირებიდან და აზიანებს სახნავსათეს ფართობებს. აქ უკვე დავიწყეთ ჯებირების აშენება. 236 ჰექტარი ფართობი დაცულია დაზიანებისაგან.

ტყეების შემოვლის დროს შევხვდით რაიონის სატყეო მეურნეობის მუშაკს ბაგრატ მეტრეველსა და ჰეჭლის სატყეოს ხანდაზმულ მეტყევეს გაბრიელ რეხვიაშვილს. ისინი სწორედ უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებზე საუბრობდნენ, გამოჰქონდათ თავიანთი დასკვნები, თუ რა უნდა გააკეთონ იმის განსახორციელებლად, რაც საბჭოთა საქართველოს პარლამენტმა დაადგინა.

გაბრიელი ბუნების დიდი ქომაგია, სამ ათეულ წელზე მეტია ის თავდადებით იღვწის ქართული ბუნების სიმდიდრის დასაცავად. მან გვიჩვენა ტყეში მის მიერ დამყნობილი ვაშლისა და მსხლის ნაყოფით მძიმედ დატვირთული ტოტები.

საუბრით ავუყევით ტყეს. მთის ლორთქო ბალახით დაბურულ ბილიკს ხშირ ტევრში, ხან კი გამეჩხერებულ კორომებში შევყავართ. მეტყევეები მოგვითხრობენ, რომ ტყის მომძლავრებასთან ერთად გამრავლდა ფრინველი, უფრო ხშირად გვხვდება ირემი, კურკოვან ტყეებში ხშირად გადააწყდებით ღორის კოლტს.

ბაგრატ მეტრეველს ყველაფერი ზუსტად აღუნუსხავს თავის უბის წიგნაკში: სოფელ ვარხანის, ბენარას, ფარეხის, არალისა და უდეს მიდამოებში ეროზიისაგან დახრამულ, ფუნდაკარგულ 156 ჰექტარზე გაუშენებიათ წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები.

— გამეჩხერებულ ტყეებში ვასახლებთ სწრაფმზარდ და ძვირფასი ჯიშის მცენარეებს, — ამბობს მეტრეველი, — ძლიერ დაქანებულ ფერდობებზე ვაწყობთ ე. წ. ბაქნებს და მასზე ვრგავთ ხეებს, რომ მათმა ფესვებმა შეაჩეროს ნიადაგის ზედაპირის ჩამოშლა და ნიაღვარმა ველარ ჩამორეცხოს. ხოლო რაც შეეხება ჩახერგილ კორომებს, მათ ვწმენდთ — ვჭრით მავნებლებისაგან გამხმარ ხეებს და სასაქონლოდ გამოგვაქვს.

— გამეჩხერებული ტყის შესავსებად გვაქვს საკუთარი სანერგე, სადაც საკმაო რაოდენობით გამოგვყავს ვერხვი, მუხა და სხვა ფოთლოვანი ჯიშები, — დაასრულა თხრობა მეტრეველმა.

მესხეთში უხვადაა მთის ჩქარი მდინარეები, ბევრი მათგანი საკოლმეურნეო მინდვრებს ჩაუდის, მარტო ადიგენის რაიონში ამ წყლებიდან გამოყვანილი არხები 3.800 ჰექტარ ფართობს რწყავენ. დაგვაინტერესა თუ როგორია რწყვის რეჟიმი, ხომ არ ჩაირეცხება ხოლმე ფერდობზე მდებარე სახნავი ნაკვეთები? ხანდახან ასეც ხდება, და რწყვას სარგებლის მაგიერ ზიანი მოაქვს.

ამ კითხვაზე რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მუშაკებმა არა მარტო გვიპასუხეს, არამედ გვაჩვენეს სიმინდის ნათესების რწყვა რამდენიმე კოლმეურნეობის მიწებზე. აქ მართლაც კარგად გასძღოლიან საქმეს.

რაიონში შემოღებული აქვთ ე. წ. სავეგეტაციო რწყვა, რომელიც წლის ყველა პერიოდში მიმდინარეობს საჭიროების მიხედვით. წყლისმიერი ეროზიის საწინააღმდეგოდ დაფერდებულ ფართობებზე თესავენ ესპარცეტს და სხვა მრავალწლიან ბალახებს.

კოლმეურნეობებში მერუეებსა და მემინდვრეებს გავლილი აქვთ სპეციალური კურსები. რწყვის წესების დაცვისა და წყლის მაღალნაყოფიერად გამოყენების ოსტატებად არიან ცნობილი სოფელ ბოლაჯურის კოლმეურნეობის წევრი მიხეილ ჰიტაძე, უდეს კოლმეურნეობაში — სტეფანე ობოლაშვილი, ალიოზ ბოჩიკაშვილი. პატარა სმადში — ილარიონ ფოფხაძე, ქვემო ენთელში — იპოლიტე ხარაიშვილი. სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველომ ჰიტაძე და ფოფხაძე მაჯის საათებით დააჯილდოვა.

რწყვის რეჟიმის დაცვა რაიონის ხელმძღვანელ მუშაკთა ყურადღების ცენტრში დგას. ივნისში პარტიის რაიკომმა განიხილა რწყვის მიმდინარეობისა და წყლის რესურსების გამოყენების საკითხი. წყლის უყაირათოდ გამოყენებისა და რწყვის რეჟიმის დარღვევისათვის პარტიული სასჯელი დაედო ბოლაჯურის კოლმეურნეობის მემინდვრეობისა და მებაღეობის ბრიგადების ხელმძღვანელებს — ლეო და მიხეილ ქლიბაძეებს.

მდიდარი შთაბეჭდილებებით ვტოვებთ მესხეთის მიწას. გული სიხარულით გვევსება, როცა ვხედავთ, რომ საქართველოს ეს უმშვენიერესი და მრავალჭირგადახდილი კუთხე კვლავ იმოსება მწვანე სამოსელით, კვლავ გულუხვი და ნაყოფიერი ხდება მისი ოდესღაც მტრისგან ნაოხარი მიწები.

**გიორგი გოჩიტაშვილი.**

**ადიგენი — თბილისი.**

# საფერფლის საიდუმლოება

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გამოხმაურებები რუსუდან ნიკოლაძის მოგონებებზე „დაუვიწყარი დღეები და წუთები“

1969-1970 წლებში, დიდი ლენინის იუბილესათვის მზადების პერიოდში, ჟურნალ „დროშის“ რედაქციის თხოვნით მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა რუსუდან ნიკოლაძემ დაწერა ფრიად საინტერესო მოგონებები ლენინთან შეხვედრებზე 1905 და 1917 წლებში, ჟენევასა და პეტროგრადში. ეს მოგონებები გამოქვეყნდა „დროშის“ ფურცლებზე და აგრეთვე ცალკე წიგნად „დროშის“ ბიბლიოთეკის სერიაში. იგი მთლიანად ითარგმნა რუსულ ენაზე და გამოქვეყნდა ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ ფურცლებზე (1970 წ. № 2, 3, 4).

საბჭოთა ადამიანები ულრმესი სიყვარულითა და გატაცებით ეწაფებიან ყოველ ახალ ნაშრომს, რომლებიც აშუქებენ უკვდავი ბელადის ცხოვრებისა და ბრძოლის ეპიზოდებს. ამიტომ ბუნებრივია, რომ რ. ნიკოლაძის მოგონებებმა გამოიწვიეს ფართო გამოხმაურება არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

„ლენინიანას საინტერესო ფურცელი“ — ასე უწოდა „ვეჩერნი ტბილისის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ თავის წერილს ცნობილმა ქართველმა მწერალმა და პუბლიცისტმა ვლ. მაჭავარიანმა. ამ წერილში ვკითხულობთ:

**„რა გვხიბლავს ამ მოგონებებში? ილიჩის სახე დაწერილი და დახატულია ჭკვიანი, გამჭრიახი და დაკვირვებული ადამიანის მიერ. მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს რუსუდან ნიკოლაძეს ჰქონდა ბედნიერება მრავალგზის შეხვედროდა ლენინს შვეიცარიაში და პეტროგრადში, წინასაოქტომბრო ქარიშხლიან დღეებში.**

**ლენინზე მრავალი მოგონება დაწერილა. შეიძლება კაცს მოეჩვენოს, რომ ახალი აღარაფერია სათქმელი. რ. ნიკოლაძემ გამოამჟღავნა რა ბრწყინვალე სამწერლო ტალანტი, დაგვიხატა ლენინის ძვირფასი სახე ახალი შტრიხებით.**

**უბრალო, გულამდე ჩამწვდენი სიტყვებით აღწერს რ. ნიკოლაძე, თუ როგორი გასაოცარი შორსმჭვრეტელობით ხედავდა ლენინი მომავალს, მოგვითხრობს როგორ უყვარდა ის ხალხს და ყოველივე ამას გადმოგვცემს ის არა სხვისი ნაამბობის, არამედ თავისი პირადი დაკვირვებების საფუძველზე“.**

1970 წლის 27 მარტს „პრავდის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ცნობა, რომ რ. ნიკოლაძემ კ. მარქსის სახელობის თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა იშვიათი გამოცემა ლენინის წიგნისა „სოფლის ღარიბებს“. ზემოხსენებულ მოგონებებში დაწვრილებით აღწერილია ლენინის წიგნის ამ ეგზემპლარის მთელი ისტორია. იგი ლენინმა თვითონ აჩუქა რუსუდან ნიკოლაძეს.

„პრავდის“ ამ შენიშვნას გამოეხმაურა „ვეჩერნაია მოსკვა“ (1970 წ. 30 ივნისის ნომერი). ამ გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა ემ. ციპელზონის წერილი სათაურით „საფერფლის საიდუმლოება“. მასში ვკითხულობთ:

**„ერთმა მოსკოველმა ბიბლიოფილმა, ვისთანაც სტუმრად ვიყავი, პაპიროსი მომაწოდა და თან თავაზიანად ფაიფურის პატარა საფერფლე გამოსწია ჩემსკენ. საფერფლის წინა გვერდზე რაღაც წარწერა შევამჩნიე. დავაკვირდი, ძველი გაზეთის სახელწოდება იყო, ისიც არასრულად — „ობოზრენიე“, თარიღის მითითებით — „პარასკევი, 5 (17) ივნისი, 1887 წ. № 191“. თარიღის ქვემოთ მკაფიოდ ჩაბეჭდილი იყო ნაწყვეტი საგაზეთო წერილიდან, რომელსაც არც დასაწყისი ჰქონდა და არც დაბოლოება. როგორც ვატყობდი ამის თაობაზე მასპინძელმა არაფერი იცოდა. ჩემი ბიბლიოთეკიდან მასპინძელს რამდენიმე უნიკალური წიგნი ვაჩუქე, ოღონდ ეს საფერფლე დამითმე-მეთქი. წარწერის საიდუმლოების ამოხსნა მინდოდა.**

**დავიწყე ძებნა. აღმოჩნდა, რომ გაზეთი, რომელსაც ვეძებდი, იყო თურმე „ნოვოე ობოზრენიე“, რომელიც თბილისში გამოდიოდა ნ. ნიკოლაძის რედაქტორობით. სულ მალე ხელთ მქონდა მშვენივრად შენახული ეგზემპლარი ამ გაზეთისა, 1887 წლის 5 ივნისის თარიღით. იგი გადმომცეს ლენინის სახელმწიფო ბიბლიოთეკის მუშაკებმა. მაგრამ მაინც ვერ გავიგე რატომ გადაბეჭდეს საფერფლეზე სტრიქონები გაზეთის ამ ნომრიდან.**

**იმავე ხანებში „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებზე წავიკითხე ი. დუბინსკი-მუხაძის წერილი ვ. ი. ლენინის თანამებრძოლებზე. ავტორი აღნიშნავდა, რომ „1897 წელს თბილისის გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ თანაგრძნობით გამოეხმაურა ლენინის შრომას „ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის“. თურმე ერთხანს ამ გაზეთში კორექტორად მუშაობდა სტეფანე შაუმიანი. კორექტორს მთარგმნელის მოვალეობასაც აკისრებდნენ. ხოლო 1901 წლის ივნისში იმავე გაზეთში დაიბეჭდა წერილი „ეკონომიური ნაწყვეტები და შენიშვნები“, რომელშიც ავტორი ეყრდნობოდა ვ. ი. ლენინის ნაშრომს „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. წერილს ხელს აწერდა ს. სემიონოვი. როგორც ვიცით, ს. სემიონოვი იყო შაუმიანის დიდი ხნის პარტიული ფსევდონიმი.**

**მოულოდნელად, თითქოსდა ჩემი ძიების დასახმარებლად ამ ცოტა ხნის წინ „პრავდის“ ფურცლებზე წავიკითხე, რომ სახელგანთქმული ქართველი მოღვაწის, გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ პირველი რედაქტორის ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილმა, პროფესორ რუსუდან ნიკოლაძემ თბილისის კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა იშვიათი გამოცემა ვ. ი. ლენინის წიგნისა „სოფლის ღარიბებს“.**

**ამრიგად, მე შევიტყვე ეს ფრიად საინტერესო ამბები, მაგრამ საფერფლის საიდუმლო მაინც აუხსნელი დარჩა; რაკილა აქ ნიკოლაძისა და შაუმიანის სახელები დაუკავშირდა ერთმანეთს, ეგებ საფერფლეზე წარწერის წარმოშობაც ამ მნიშვნელოვან ამბებთან იყოს დაკავშირებული.**

**ეგებ გაზეთის მკითხველები დაგვეხმარონ და შუქი მოჰფინონ საფერფლის საიდუმლოს?“**

ეს „საიდუმლოება“ რუსუდან ნიკოლაძემ ძალიან ადვილად ახსნა. როცა მას ვესტუმრე და სიტყვა ჩამოვუგდე ამ ამბავზე, მან თქვა:

— იყო ძველად ასეთი მოდაც: სახმარ ნივთებს — საფერფლე იქნებოდა ეს, პორტსიგარი თუ ლარნაკი, არქმევდნენ რომელიმე პოპულარული გაზეთის, ან ამა თუ იმ ცნობილი ქალაქის სახელს. ერთხელ მამაჩემმა პარიზიდან ჩამოიტანა იშვიათი საფერფლეები და თავის მეგობრებს დაურიგა. ამ საფერფლეებზე, ზუსტად ისევე როგორც ზემომოყვანილ შემთხვევაში, აღბეჭდილი იყო ფრანგული გაზეთის „ფიგაროს“ სათაური და ნაწყვეტი იმავე გაზეთში დაბეჭდილი წერილიდან. ალბათ, ასევე, მამაჩემმა გააკეთებინა საფერფლე და ზედ აღბეჭდა თავისი გაზეთის სახელწოდება და იქვე მოიყვანა გაზეთში მოთავსებული რომელიღაც წერილის ნაწყვეტი.

აი კიდევ ერთი საინტერესო ამბავი, დაკავშირებული რ. ნიკოლაძის მოგონებებთან: წელს, გაზაფხულზე, ლენინგრადის გერცენის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში შედგ. ხანდაზმულ პედაგოგთა და მეცნიერთა მარიგი ტრადიციული შეხვედრა, რომელიც ლენინის იუბილეს მიეძღვნა. შეხვედრაზე თავი მოიყარეს ამ ინსტიტუტის ყველაზე ადრინდელმა კურსდამთავრებულებმა და პედაგოგებმა, ისინი გამოვიდნენ მოგონებებით და მოხსენებებით ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარშემო; აქ საჯაროდ წაიკითხეს რუსუდან ნიკოლაძის მოგონებები და შემდეგ მათს ავტორს ასეთი მისასალმებელი დეპეშაც გამოუგზავნეს:

**„სალამი ჩვენს ძვირფას მასწავლებელს და მეგობარს შეხვედრის მონაწილეთაგან, მადლობას გიძღვნით მშვენიერი მოხსენებისათვის, რომელიც თქვენს ნაცვლად მშვენივრად წაიკითხა კატუშა ჩერეპნინამ. თქვენმა მოგონებებმა მთელი კრების საყოველთაო აღტაცება გამოიწვია“.**

ვინ მოსთვლის საიდან არ მოდის წერილები რუსუდან ნიკოლაძის სახელზე. იწერებიან მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, კიევიდან და ხარკოვიდან, ურალიდან და ციმბირიდან. იწერებიან აკადემიკოსები, ხელოვნებისა და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები, პედაგოგები, პრესისა და გამომცემლობის მუშაკები.

ისტორიკოსი იგორ გრიგორიევი, რომელსაც, სხვა ავტორებთან ერთად დავალებული აქვს საქართველოს საკითხები გააშუქოს „ისტორიულ ენციკლოპედიაში“, რ. ნიკოლაძისადმი გამოგზავნილ წერილში ამბობს:

**„ორჯერ წავიკითხე თქვენი მოგონება. გადმოცემის სიცხოველე და სიახლე შემიძლია შევადარო მხოლოდ ჯონ რიდის წიგნს. თქვენ შეგეძლოთ თებერვლის რევოლუციაზე დაგეწერათ ისეთივე წიგნი, როგორც ჯონ რიდმა დაწერა ოქტომბრის რევოლუციაზე. როგორი აუცილებელია ეს! და ამის გაკეთება თქვენს გარდა სხვას არავის შეუძლია“.**

მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობის განყოფილების გამგე ელენე იანოვსკაია სწერს:

**„თქვენს მემუარებში მართლად და ნათლადაა აღწერილი ის არაჩვეულებრივი ატმოსფერო, რომელშიც ცხოვრობდით თქვენ, ლენინთან ახლოს მყოფი ადამიანები ოქტომბრის წინა დღეებში. გულითად მადლობას გიძღვნით თქვენი მოგონებებისათვის. ისინი ამჟამად მეტად საჭირო არიან. ვკითხულობდი და ისეთი წარმოდგენა მქონდა, თითქოს სულ ახლახანს დასტოვეთ თვალწარმტაცი ჟენევა და გამოემშვიდობეთ ვ. ი ლენინს. ის ჩემს თვალწინ დგას ცოცხალი, უბრალო, გულღია, ამავე დროს, თავმდაბალი, ბრძენი. რა ბედნიერი ხართ, რომ თქვენი ახალგაზრდობის წლებში შეხვდით ადამიანს, რომლის სახელს მთელი მსოფლიო მოწიწებით წარმოთქვამს“.**

შეუძლებელია ამ პატარა წერილში უბრალო ჩამოთვლაც კი იმ ადამიანთა გვარებისა, რომლებიც გამოეხმაურნენ რუსუდან ნიკოლაძის ამ მოგონებებს. რ. ნიკოლაძის მემუარებმა ულრმესი სიხარული მიანიჭა ყველა მკითხველს, ვისაც კი ხელში ჩაუვარდა ეს მშვენიერი ნაშრომი.

თინა ჩიგოგიძე



**ბენიკ სეირანიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პურის ნატეხი

მზიანი დილაა. ქუჩაში ჭიანჭველებივით ირევა ხალხი. ქვაფენილზე გდია პურის ნატეხი. არავინ ყურადღებას არ აქცევს.

აი, ხალხის ტალღას გამოეყო ხანდაზმული მოხუცი, ჩერდება, იხრება, თითის წვერებით ფრთხილად სწვდება პურის ნატეხს, იღებს, ხელისგულზე იდებს, დიდხანს, დიდხანს ჩასჩერებია და უცებ რაღაც სასწაულით თვალწინ მხურვალე ზაფხული და ხვატით გამშრალი ველი გადაეშლება. პურსა ჭკიან, ოფლში ცურავენ...

დგას მოხუცი და, ასე ჰგონია, ხელში უჭირავს ერთი ნატეხი ზაფხულისა, მასში ხედავს მცხუნვარე მზეს, შავ, გარუჯულ სახეებს, მოგუგუნე კომბაინს, და ოფლს, ოფლს, ნიაღვარივით შუბლზე მოდენილს, უწყვეტ ნაკადად მოვარდნილს. თვისი ოფლის მცირედ ნაწილსაც ხედავს იგი ამ ერთ ლუკმა პურის ნატეხში.

## პასუხი სატრფოს

შენ ხშირად მეკითხები ხოლმე:

— რა ნახე ასეთი ჩემში?

— რასაც ყველა მიჯნური ჰვრეტს თავის გულის სწორში და რაც ჯერ არავის უხილავს შენში, ჩემო კარგო!

## ჩ ი ტ უ ნ ა

ჩვენს თვალწინ, ცაცხვის ტოტზე საამოდ ჭიკჭიკებს ჩიტუნა.

ჰმუნვაა მის გალობაში. უხილავი სახმილი სწვავს, სულს უფორიაქებს...

მწუხრის სიმღერა თუ არის!

ეგებ მასაც არ სურს დაბინდება. ღამე იდუმალ სევდას ჰგვრის, გულს უკლავს...

— ვესვრი ქვას და წავა... — ვფიქრობ.

ფეხს არ ვიცვლი ადგილიდან, ვესვრი ხელში მოხვედრილ ნაფოტს.

ხმა წყდება. ალბათ, გაფრინდა.

ისაა მთრთოლვარე ბაგენი უნდა შევახოთ ერთურთს, რომ კვლავ გვესმის ჟღურტული.

— ისევ მოვიდა...

— რაც გინდა ისა თქვი, ეს ჩიტუნა შეყვარებულია...

## როცა მომიხმობ...

ვხუჭავ თვალებს და გონებაში გამიელვებს სიზმარეული სამყარო... ჩემს წინ დგას პირმწყაზარი ქოგო... ზეციური ანგელოზი თუ არის... მაგრამ არ მჯერა, თითქოს მოჩვენება ან ზმანება იყოს, ეს შენი სახე ცხადად მინახავს... და, მართლაც, შენ ხომ ის თვალუუუნა გოგონა იყავ, ოდესღაც სიცოცხლეს რომ მერჩივნა და ყოველ შეხვედრისას გულის ფანცქალით ვეკითხებოდი:

— როდის მოხვალ?..

— როცა მომიხმობ, — მომიგებდი და გიუმაყი ღიმილი გაგირბენდა სახეზე.

ღამე დავეხეტებოდი მაწანწალასავით, შენ გნატრობდი, შენი სურვილი მკლავდა.

უშრეტი ცეცხლი... ტკბილი ოცნება... დაუოკებელი წყურვილი მილეული გულისა — აი, რა იყავ ჩემთვის.

დავეხეტებოდი და ჩემთვის ვბუტბუტებდი: „მოგელი, ძვირფასო"!

შენ კი მოსვლა არ გეღირსა.

მრავალმა წელმა განვლო და, აი, ჩვენც ჩავინავლეთ, ჩავიფერფლეთ...

ვინძლო მოგიაროს ძველმა ჟინმა და კვლავ მომიხმო...

მაშ, რაღას უცდი, მითხარ, როდის მოხვალ, რომ გულის ცეცხლი გამინელო, ძველი დღეების სურნელი და სიტკბო შენით იქნებ შევისრუტო, შევისუნთქო...

## სიყვარული არ ბერდება

გონებაში წამით გამიელვებს სიზმრად ქცეული ქალის სახე. ათეული წლებია, აჩრდილივით თან დამდევს, ჩემშია, ჩემთან ორგანულად შენაცკული, შესისხლხორცებული.

და აი, საოცრება — მე უკვე ვბერდები, სადაცაა ჩემი მზე გადაიწვერება, ის კი ისევ ნორჩია, ახალგაზრდა, ვით იმ საღამოს, გარეთ რომ გამიხმო ჩემი მყუდრო სამყოფელიდან, ამიყვანა მაღალ მთაზე, მომაჯადოვა, ჩემი სულის ულრმეს კუნჭულში ჩაესახლა.

მას აქეთ ნორჩია, ახალგაზრდა, მომხიბლავი, სათნო. მას რა უჭირს, მე ვინაღვლო, რომ უმწეო მონა ვარ მისი ეშხისა.

რას იზამ, წესია ბუნებისა, შეყვარებული ჰკნება, ბერდება, სიყვარული კი — არასოდეს.

## თავისუფლება

ამბობენ, ადამიანი მარტო იბადება, მარტო კვდება.

და რა კარგია, რომ ასევე მარტოს უყვარს.

არვის ძალუძს იბატონოს მის გრძნობებზე. არც მაღალ ღმერთს, არსთა შემოქმედს, არც კანონსა და სამართალს მასთან ხელი არა აქვს. უძლურია მის წინაშე თვით მისი ტრფობის საგანიც, მრისხანე კლეოპატრა და შმაგი შამირამიც რომ იყოს.

აირჩიე და შეიყვარე, ვინც გენებოს, ვინც შენს გულს ემონოს, მხოლოდ შენთვის.

შეიმკე სული სიყვარულის ხელთუქმნელი საუნჯით.

მაშინ კი ვერავინ შეგწვდება, მაშინ იქნები უმდიდრესი დედამიწის ზურგზე, მაშინ იქნები ერთადერთი ხელისუფალი შენი წმინდა გრძნობებისა.

რაოდენი სილაღე და თავისუფლება მოგანიჭა დედაბუნებამ.

ვაგლახ, მხოლოდ შენში, შენი სულის წიაღში!

## ლურჯ ნერეიდასავით

ოდესღაც, სადღაც... ცხოვრების გზაზე შევხვდით, ხელი ჩავჭიდეთ ერთურთს, და, თითქოს სიზმარში, გავიარეთ, გავცურეთ თვალციმციმა ლურჯ ნერეიდასავით, ლურჯ ზმანებასავით.

პური არ გაიყავ ჩემი, ფიქრი არ გაიზიარე, სამაგიეროდ გაიყავ გრძნობათა აზვირთებული ოკეანე, ამიტომაც დაიდე ბუდე ჩემს გულის გულში, სულის სიღრმეში.

ნეტა ოდესმე თუ გაიხსენებ, რომ თან გაიყოლე გარდასულ დღეთა სითბო და ფერადი ოცნებები ჩემი სიჭაბუკისა.

გახსოვდეს, შენგან გვემული გული დატოვე გზაზე, ამიერიდან ლაღი ფრინველი ტრფობისა ფრთებს ველარ გაშლის და ველარ შეინავარდებს.

რა უდროოდ დააზრე ყვავილი ნორჩი სიცოცხლისა, ულვთოდ გამწირე, ჩემ ფერხთით ყრიან დალარული ქვები და მათზედ შენს მიერ მოყენებული ჭრილობების კვალია ალბეჭდილი, ისინიც უხმოდ ღაღადებენ ჩემს ტკივილზე.

ნეტა, თუ იცი, რომ ქვეყნად ვერავინ ისე ველარ შეგითვისებს, ისე ღრმად ვერ შეგიყვარებს, ისე ძალუმ ვერვინ აღიგზნება შენი დანახვით, ისე ვერ გაიხარებს შენი მოსვლით და ვერ დამწუხრდება შენი წასვლით.

თუ არა ეს გული, შენგნით ხელქმნილი უგუნური გული...

ოდესღაც, სადღაც, თვალციმციმა ლურჯ ნერეიდასავით, ლურჯ ზმანებასავით...

სომხურიდან თარგმნა **მ. თაქთაქიანცა**





სტილიზებული პეიზაჟი.



ივერიელი ბიბლიოთეკა

რთველი.

# მიხეილ გოცირიძე

მიხეილ გოცირიძე ქართველ მხატვართა უფროს თაობას ეკუთვნის. განვლილი ათეული წლების მანძილზე მან არაერთი ორიგინალური ნაწარმოებით გაამდიდრა ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების საგანძური.

ჩვენმა საზოგადოებრიობამ და პერიოდულმა პრესამ თავიდანვე ღრმა ინტერესი გამოიჩინა მიხ. გოცირიძის შემოქმედების მიმართ. ჯერ კიდევ **1924** წელს, განიხილავდა რა ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენას, ჟურნალი „ხელოვნების დროშა“ აღნიშნავდა, რომ „გამოფენაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ მ. გოცირიძეს და ი. გამრეკელს, როგორც შემოქმედებითი ფანტაზიის მხრით, ისე ოსტატობის მხრითაც“. იქვე აღნიშნული იყო, რომ გოცირიძის ნაწარმოებებში ნათლად ჩანს „პერსპექტივის ღრმა შეგრძნება, ძლიერი ხასიათები და საუკეთესო შესრულება ჩანაფიქრისა. საერთოდ, მას ლამაზი ხელი აქვს და ყველა მანერით წერა ერთნაირად ეხერხებაო“.

მომდევნო წლების მანძილზე მიხ. გოცირიძე ნაყოფიერად მუშაობს როგორც ფერწერის, ისე გრაფიკის ჟანრებში. ამასთან, ის ცნობილი მხატვარი-დეკორატორია, მხატვრულად აფორმებს კინოსურათებსა და ცალკეულ თეატრალურ დადგმებს.

მისი ნაწარმოებების თემატიკა — ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის ცხოვრებაა, იგი აღზრდილია ქართული მხატვრობის კეთილშობილურ ტრადიციებზე.

ხანდაზმული მხატვარი კვლავ მთელი ენერგიით განაგრძობს ნაყოფიერ შემოქმედებითს მოღვაწეობას.

...აფხული სოფელში.



# კობა გურული

ეროვნული ბიბლიოთეკა



კობა გურული.

ფოტო ე. ბიბილაშვილისა.



მთების სიმღერა.

სტუმართმოყვარე მასპინძელი.



ქართული ლითონის პლასტიკას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი მუდამ აღსავსე იყო მაღალი აზრითა და წრფელი განცდით; მასში მუდამ იგრძნობოდა ქვეყნის უშუალო მხატვრული ხილვა.

ლითონის პლასტიკაში იმთავითვე შერწყმული იყო სახვითი-თემატური და სახვითი-ორნამენტული საწყისები. ძველ ოსტატთა ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია არა მხოლოდ მაღალმხატვრულობა და პლასტიკურობა, არამედ დიდი აზრის, ეპოქალური იდეების სადად და მკაფიოდ გადმოცემა. მხატვარი ჩვენში ხომ მუდამ ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის მებაირახტრე იყო.

ჩვენს დროში, საბჭოთა ეპოქაში დაიწყო ქართული პლასტიკის ახალი აყვავება. მას მტკიცე საფუძველი შეუქმნა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურმა და კულტურულმა აღორძინებამ. ახალი ქართული ლითონის პლასტიკის ოსტატთა შორის ერთი საპატიო ადგილი კობა გურულს ეკუთვნის.

დიდი ტრადიციის მქონე ქართულ ლითონის პლასტიკას კობა გურულმა დიდი ამაგი დასდო; მან გვიჩვენა მასალის ახლებური გამოყენება, ჭედურობის მხატვრულ მეტყველებას მან ახალი ფუნქცია მოუძებნა როგორც შინაარსობრივი, ასევე ესთეტიკური კონცეფციის თვალსაზრისითაც. ჭედურობა გამოყენებითი, მცირე ფორმიდან მან აქცია ადამიანის ყოფის, ინტერიერის, თუ ექსტერიერის განუყოფელ ნაწილად და ესთეტიკურის თვალსაზრისით იგი აიყვანა დაზგურსა და მონუმენტურ ფორმებამდე.

კობა გურულის ჭედურობა ქართული ქანდაკების, ლითონის პლასტიკის ახალი სიტყვაა და თავისი ბუნებით სინთეზურია. კობა გურულს აქვს მცირე ფორმის გამოყენებითი ხასიათის ნაწარმოებებიც (წიგნების შემოსვა ჭედურობით და სხვ.), მაგრამ ეს არ არის მისთვის ტიპიური. მან ამ დარგს ასპარეზი გაუფართოვა.

კობა გურულის მხატვრული აზროვნებისათვის ნიშანდობლივია ცხოვრებისეული (ისტორია, თანამედროვეობა) ამბებისა და განცდების პოეტურ ასპექტში ხილვა, კომპოზიციური წყობის პოეტურ კილოსთან დაკავშირება. მაყურებელს აქ იტაცებს მხატვრული ხილვა და მეტაფორულობა, აზრის გარდაქმნა ცოცხალ მხატვრულ სახედ; ამიტომაც არის, რომ მისი ნაწარმოები მუდამ ღრმად ჩაგაფიქრებს, უმალ გადაგიყვანს პოეზიის სფეროში, აქ გრძნობთ, რომ იმყოფებით ქართულ გარემოში, ქართულ მიწაზე.

კობა გურულის ნაწარმოებები ყოველთვის გამსჭვალულია ეროვნული სულისკვეთებით. ეს ასაზრდოებს მხატვრის ფანტაზიას. მისი შემოქმედება ქართულ ლიტერატურასა და მუსიკაში გამოვლენილი დიდი იდეებით სუნთქავს.

კობა გურულის შემოქმედება ქართული ლითონის პლასტიკის ახალ საფეხურს წარმოადგენს. მისი ქმნილებები არ არის მარტო ერთი ოსტატის წარმატება, ეს მთელი ჩვენი სახვითი ხელოვნების გამარჯვებაა.

შალვა კვასხვაძე



შენ ხარ ვენახი.

ესროლა ბერმა პაპამა.





ჰიმნი მზესა და მშვიდობაზე.



შემოდგომის ღამე კახეთში.



ბექა და ბეშქენ ოპიზარები.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალდე კაკაბაძე



ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვარი-კერამიკოსი ალდე კაკაბაძე — დიდი ქართველი მხატვრის ალექსანდრე მრევლიშვილის შვილიშვილია. ამ ოჯახში პაპიდან მოდის სიყვარული ხალხური შემოქმედებისადმი. ალ. მრევლიშვილს ჰქონდა დიდი ალბომი, რომელშიც იწერდა ხალხურ ლექსებს, ანდაზებს, თქმულებებს, მასშივე აკეთებდა ჩანახატებს. ეს სიყვარული ფოლკლორისადმი მემკვიდრეობით გადაეცათ მის შვილს, ცნობილ ქართველ პოეტს მაყვალა მრევლიშვილს და შვილიშვილს — ალდე კაკაბაძეს. ალდეს პირველივე ნამუშევრები — „ორი ცრუპენტელა — პეტრია და პეტრიკელა“, „კვანწია გოგო“, „ხუთკუნჭულა“, „ხევსური გოგო“ ალსავსეა სიცოცხლით, სიხალისით და იმ უშუალო იუმორით, რომელსაც სათავე ქართულ ფოლკლორში აქვს.

ალდე კაკაბაძე ამჟამად თბილისის სამხატვრო აკადემიის უფროსი პედაგოგია კერამიკის დარგში. მხატვარ-კერამიკოსს მონაწილეობა მიუღია მრავალ გამოფენაზე, სადაც მის ნამუშევრებს მუდამ მაღალი შეფასება დაუმსახურებიათ.

**კონსტანტინე გამსახურდია**

# კარლო კალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## I. შემოქმედება

მწერალთა უფროსი თაობის წარმომადგენელთაგან ზოგს ასე ჰგონია: ახალგაზრდებმა უნდა გვაქონ ჩვენ, ხოლო ჩვენ დავიდუმოთო მათ გამო. ეს არ არის სწორი შეხედულება. პირიქით, ახალგაზრდებს ჩვენ უნდა დავეხმაროთ, ზოგი რამ მოვუწონოთ, ზოგიც დავუწუნოთ.

განსვენებული ჩვენი მეგობარი ალექსანდრე აბაშელი იტყოდა ხოლმე: შემოქმედება ბეწვის ხიდზე სიარულს მიაგავს: ერთი უხეირო ჰაუ თუ შესძახე, შესაძლოა მიწაზე დაენარცხოს კაცი.

შექება დიახაც არგებს მას.

მე არა მგონია სადმე არსებობდეს ჩემი ხნის კაცი, რომელსაც ამდენი ძაგება და ხშირად ქებაც მოუსმენია და პრესაში ამოუკითხავს.

ჩემს არქივში აღარ ეტევა პრესის ექსპონანტებ́, რომელნიც გამოქვეყნდნენ ჩემს შესახებ 1921 წლიდან დღემდის.

ჩემი შეხედულებანი პირუთვნელად გამომითქვამს ტრიბუნიდან და პრესაში ბარე ოცი მწერლისა და კრიტიკოსის შესახებ.

დიდის სიყვარულით მომიხსენებია ჩემი ძველი მეგობარი, შესანიშნავი ადამიანი და ასეთივე პოეტი კარლო კალაძე.

პოეტთაგანს ზოგს არ ესმის, რომ სხვის მიერ ნახმარი ბოლორითმა ისევე უხეიროა, როგორც ნასხვისარი ტანისამოსი.

როცა კარლომ თავისი ორტომეული მომიძღვნა, მე ოდნავ შევკრთი, როგორ გაუძლებს მეთქი ამოდენა შრომას მათი ავტორი.

ჩემი მოუცლელობის მიუხედავად, მთელი თვე ვიკითხე ეს ლექსები. გავიხარე, რომ ამ უზარმაზარ შრომაში ვერსად ბანალობასა და უგემოვნობას ვერ შევხვდებით.

პირველივე ლექსი გაგახარებს:

> ქარიყლაპია ურჩხილებს ველარ გადურჩა:
> მე ახლა ჯავრი გულში ჩავკალი,
> გადამაშორე ამ ტკივილს, ლურჯავ,
> რომ გადავკარგო სივრცეში თვალი!

უფრო მშვენიერი ლექსია: „სირბილის შეძახილი“.

ქართულს ვერავინ დაუწუნებს კარლო კალაძეს, მაგრამ მე უსიამოდ შემაკრთო I ტომის 19 გვ. მოთავსებული ლექსის სათაურმა „ძახილი ალმოსავლეთს“ (sic!); ეს ფრაზა სრული უაზრობაა.

ქართულ კრიტიკას დიდი ბრალი მიუძღვის ახალი თაობის მწერალთა მიმართ. ჩვენი კრიტიკოსები ავტორის ენას არც კი ეხებიან.

კ. კალაძეს ემარჯვება როგორც ინტიმური ლექსი, ისე ურბანისტულიცა. ნახეთ რა შესანიშნავი სტროფი უძღვნა მან მემანქანეს:

> ... ვმართავ მანქანას და სარბიელი
> თქვენი გაშლილი არემარეა,
> ვარ ქალაქელი და ვარ მთიელი
> და ორთქლმავალიც მომთაბარეა.

ჩვენი პოეტის ზოგიერთი ლექსი ხალხური გეგონება:

> ყური დამიგდე, ყურძენო,
> შვილო კუზიან ვაზისა!
> ლალეს თითებმა დაჰკრიფონ
> შენი მტევნები ლალისა,
> და საწნეხელში დასწურონ
> უჩარდიონის ხალისმა.

ამ 40 წლის წინად ვუქე კარლოს თავისი უბრწყინვალესი ლექსი „ქვევრები“.

უნდა აღინიშნოს, ეს ლექსი მრავალ კლასიკურ ლექსს არ ჩამოუვარდება.

ეს მძაფრი პასკვილი დაწერილია იმ ხანებში, როცა ცარიელ ქვევრებს გასავალი ჰქონდათ და ბევრ უმსგავსოებას სჩადიოდნენ.

კარლო კალაძე იმ ჟამადაც ისეთი სპეტაკი ადამიანი იყო, როგორიც დღეს.

ჩემი დებულება აქაც მართლდება: არასოდეს არც ერთ უნამუსო კაცს რიგიანი არაფერი დაუწერია.

მცირე მოცულობის ლექსთა შორის საყურადღებოა „რუბაი“ და ოთხსტრიქონიანი ლექსი იაკობ ნიკოლაძისადმი მიძღვნილი — „წარწერა“.

კარლო კალაძე უმღერის საბჭოური საქართველოს აღმშენებლობას და ინდუსტრიას. მშვენიერია მისი „ხერთვისის განთიადები“, „კალმახის ამბავი“, „ხიზამბავრელ მოხუცთან შეხვედრა“, „ხერთვისის თქმულება“. ეს პატარა პოემები დიდი ემოციური გრძნობების აღმძვრელნი არიან.

კ. კალაძე არა ჰგავს იმ პოეტებს, რომელნიც ბანალური ერთტომანით არიან შეპყრობილნი.

ყურადღებას იპყრობს შესანიშნავი ლექსი „განშორება“.

> მთრთოლვარე ლანდი ლანდია გულის;
> აღსავსე ფიქრით კაეშნიანით,
> წასულხარ ჩემგან და გაზაფხულიც
> განშორებია ხეებს შრიალით...

შესანიშნავია ლექსი „მე ახლაც მახსოვს“.

> მე ახლაც მახსოვს ამაო შიში,
> შემკრთალ ტუჩებზე შენი თითები,
> როცა შრიალა ვაზების ჩრდილში
> ყრუდ ვფრთხიალებდით როგორც ჩიტები.
> სიჩუმით რა თქვას გულმა უჩვევმა?
> სიჩუმეს ჩიტის გულიც არ ითმენს,
> და უნებლიედ ჩვენმა ტუჩებმა
> კვლავ ერთმანეთის სუნთქვა გარითმეს.

ამ ლექსზე უფრო ფაქიზი ეროტიული ლექსი ბევრ პოეტს არ დაუწერია.

კარლოს მუდამ ახასიათებდა ჩვენი კლასიკოსების მიმართ სიყვარული და პატივისცემა. I ტომის 160-161 გვ. მოთავსებული ლექსი „ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა მთაწმინდაზე“ ფრიად საყურადღებოა ამ მხრივ.

> მთაწმინდას, მტკვარს და ვარსკვლავთა ხომლებს
> დაშვენდა შუქი ღამის თენების,
> ამიერიდან მათ აცისკროვნებს
> დიდი სიცოცხლე მთაწმინდელების.

ჩვენი პოეტი ბუნების მოტრფიალეა; აქ მოვიყვანდი ერთ სტროფს კარგი ლექსისას:

> ... ჩემს ნაცნობ ჭანდარს რათ აკვირდები,
> იგი ჯერ კიდევ არ შეფოთლილა,
> მაგრამ ტოტებზე სხედან კვირტები
> და როგორც ჩიტებს, ალვიძებთ დილა...

კარლო კალაძეს კარგად ესმის რომ ჩვენს ეპოქაში თუ მეზობელმა ერებმა ურთიერთი არ შევიყვარეთ, ჩვენი ერები თავათაც დალატაკდებიან სულიერად. შესანიშნავი ლექსები აქვს მიძღვნილი უკრაინისადმი, მირგოროდის ამბებს უძღვნა მან მშვენიერი ნაწარმოებები.

ახლა მოვუსმინოთ ჩვენს პოეტს როგორი დიდი სიყვარულით ახსენებს იგი აფხაზებს:

> ვინ იმღერა პირველად
> „ვარაიდა-ვარადა“,
> ვინ აქცია მუდმივი
> თოვლი ნიაღვარადა,
> ვინ იმღერა პირველად
> „ვარაიდა-ვარადა“.

ამ ჩემს შენიშვნებს არავითარი პრეტენზია არა აქვს კარლო კალაძის ორი დიდი ტომის განხილვისა, ამ ერთ თვეს, ჩემი ავადმყოფობისა და მოუცლელობის მიუხედავად, დავწერე ეს ყოველივე.

## II. კარლო, როგორც მეგობარი

1930 წელს, მე საკუთარს არაფერს მიბეჭდავდნენ; ამიტომაც ვთარგმნე უოტ უიტმენის ლექსები. პოლიტიკური გამომცემლობის რედაქტორი იყო იმ ჟამად კარლოს მამა, განსვენებული რაჟდენ კალაძე.

მან თავის სახლში მიმიწვია და მთხოვა თარგმანის ხელნაწერი მიმეტანა.

მე ეს სურვილი შევუსრულე მას.

რაჟდენმა მთხოვა რამდენიმე სტროფი ამომელო უიტმენის თარგმანიდან, მე გავჯიუტდი. იქვე იჯდა თვრამეტიოდე წლის ახალგაზრდა, იგი ადგა და მამამისს უკმეხად უთხრა: „მამაჩემო, შენ არა გაქვს ნება კონსტანტინე გამსახურდიას რაიმე შეუსწორო“.

რაჟდენი მოლბა და ჩემს თარგმანს დააწერა: „უცვლელად დაიბეჭდოს“.

მე და კარლოს ბარე 40 წლის მეგობრობა გვაკავშირებს. იგი ხშირად ჩემთან ერთად დაჯირითობდა ცხენით.

ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებში კარლომ მთხოვა ცხენით წავსულიყავით საგურამოს.

მე ვთხოვე ორი ცხენი ერთ მეგობარ გენერალს, გენერლის ადიუტანტმა საგანგებოდ დამირეკა: ხვალ, დილის 10 საათზე ორი საუკეთესო ცხენი და ერთი მეჯინიბე თქვენს განკარგულებაში იქნებიანო.

საღამოს კარლომ დამირეკა: გენერლის ცხენები იალაღზე გაუშვითო.

მე მივხვდი: კარლოს არ უნდოდა ჩემთან ერთად ცხენით ჩასვლა საგურამოში.

მეორე დღეს მე ჩემი ამერიკული ვილისით ჩაველი საგურამოში. კარლომ დამინახა თუ არა, ცხენჯოხზე შეჯდა და წკეპლა დასცხო ცხენჯოხს.

იმ დღეს ბევრი ვიცინეთ. თანადამსწრეთ ჰომეროსეული სიცილი შექმნეს.

მე უნდა განვაცხადო: ნახევარი მსოფლიო მაქვს მოვლილი, ასი ათასზე მეტი ადამიანი ნახული და გაცნობილი, მაგრამ კარლო კალაძისთანა ენამახვილი მწერალი მე არ შემხვედრია.

მე მგონია: ჰაინრიხ ჰაინე ვერ შეედრება მას ამ მხრით.

შესანიშნავია მისი მადრიგალები, უნდა შევნიშნო: თითქმის არასოდეს თავის მადრიგალებში ბანალურსა და უწმაწურ სტროფებს არ გაურევს.

კარლოს მადრიგალები მთელმა ტფილისმა იცის ზეპირად, ასე რომ ეს ჩემს მიერ გამოგონილი კომპლიმენტი არ არის.

მე და კარლოს ოჯახური კავშირიც გვქონდა, მისი პირველი მეუღლე, ცნობილი მხატვარი თამარ აბაკელია და ჩემი აწ განსვენებული მეუღლე მირანდა ნათესავები იყვნენ.

ამის გამოც ხშირად ვხვდებოდით ხოლმე მე და კარლო ერთმანეთს.

ამ ორი თვის წინად კარლომ მომიძღვნა მისი პოემებისა და ლექსების ორი შესანიშნავი წიგნი ასეთი ავტოგრაფით:

„ვამაყობ, რომ ერთ დროს დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენას ვაჩქარებდი, რათა დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა დაეწერა.

ვიყავი, ვარ და დავრჩები მარად მისი ძმა და მეგობარი.

ვუძღვნი ჩემ ლექსებისა და პოემების ამ ორ ტომს, სადაც „ქვევრები“ და „ხერთვისის განთიადებია“ დაბეჭდილი, თვით კონსტანტინეს მიერ კეთილი სიტყვით მოხსენიებული.

სიყვარულითა და პატივისცემით, კარლო კალაძე“.

ამაზე უფრო დიდი სიყვარული წარმოუდგენელია.

რასაც კარლო ბრძანებს, სწორია.

როცა „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ დავიწყე, მე ფრიად დალახვრილი ვიყავი კრიტიკის მიერ.

იმჟამად „მნათობში“ მუშაობდნენ ჩვენი მეგობრები გიორგი ნატროშვილი და კარლო კალაძე.

ერთი კვირაც რომ დამეგვიანებინა მასალის წარდგენა, ისინი ტელეფონის წკრიალით ამიკლებდნენ ხოლმე.

ბოლოს და ბოლოს მეც დავიღალე მათი „აგრესიისგან“, მივდექი და ერთი წლის მანძილზე დავწერე რომანი, რომლის გამო განსვენებულმა ალექსანდრე აბაშელმა მითხრა: ხუთი რომანის მასალაა ამ ერთ რომანში.

რაც არის ამ რომანში, ამის გამო ბევრი ითქვა როგორც ჩვენში, ისე რუსეთსა და უცხოეთში.

მე მხოლოდ მადლობა მეთქმის ჩემი მეგობრების: გიორგი ნატროშვილისა და კარლო კალაძის მიმართ, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს ჩემს შემოქმედებაში.

ამჟამად მე ოდნავ მეცოტავება ის, რაც დავწერე ჩვენი საყვარელი და შესანიშნავი პოეტისა და მეგობრის, კარლო კალაძის გამო, მაგრამ მომავალი ჯერაც წინ არის.

კოლხური კოშკი.
1970. 16. VII.



# პოეტი საავადმყოფოში

### მოგონება გალაკტიონ ტაბიძეზე

1955 წლის ოქტომბრის თვეში გალაკტიონ ტაბიძე რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მეორე თერაპიულ განყოფილებაში იწვა სამკურნალოდ. როდესაც იგი უკეთ გახდა, ახალგაზრდა ექიმთა ერთმა ჯგუფმა, დოცენტ ს. ხაფავას მეთაურობით, გადავწყვიტეთ გაგვემართა მისთვის სამახსოვრო საღამო.

ჩვენი ეს სურვილი მოიწონეს საავადმყოფოს ხელმძღვანელებმა. ყველამ თავი მოვიყარეთ მთავარი ექიმის — გ. ქობულიას კაბინეტში, აქ გადავწყვიტეთ გამოგვეყო საღამოს მომწყობი კომისია და შევადგინეთ პროგრამა. საღამო უნდა ჩაგვეტარებინა 22 ოქტომბერს, საავადმყოფოს კლუბში.

გალაკტიონის შემოქმედებაზე მოხსენების წაკითხვა მე დამავალეს, ხოლო პოეტის რჩეული ლექსები უნდა წაეკითხათ — დოც. ს. ხაფავას, ექიმებს — რ. სიგუას და გ. სარალიძეს.

კომისიის დავალებით, მე და ს. ხაფავამ ვინახულეთ გალაკტიონი პალატაში. ავუხსენით ჩვენი მისვლის მიზეზი.

პოეტს თვალზე ცრემლი მოერია, ძალზე აღელდა, მაგრამ მალე თავს სძლია და გვითხრა: „ამ საავადმყოფოში მესამედა ვარ. პირველად, ამ ორმოცდაათი წლის წინ ვმკურნალობდი გულის ავადმყოფობის გამო. უნდა გამოგიტყდეთ, დიდად კმაყოფილი ვარ, სამივეჯერ განვიკურნე. ახლა კიდევ საღამოს მოწყობა?! ეს მეტისმეტი შეწუხება იქნება. ხომ არ აჯობებს ეს შემდეგისათვის გადავდოთ? ისე კი, ულრმეს მადლობას მოგახსენებთ, როგორც თქვენ, ისე ადმინისტრაციას.

საუბრის დასაწყისში გალაკტიონი, მართალია, ერთხანს თავს იკავებდა, მაგრამ ხმაზე ეტყობოდა რაღაც შინაგანი ღელვა. იგი წამდაუწუმ ისწორებდა მხრებზე მოსხმულ ხალათს და სახეს ცხვირსახოცით იწმენდდა. ხაფავამ მისი ეს განწყობილება დროზე შენიშნა და საუბარი სულ სხვა საგანზე გადაიტანა, შიგადაშიგ მხიარული ანეკდოტებიც ჩაურთო. გალაკტიონი თანდათან დამშვიდდა, გუნება გამოეცვალა და რამდენჯერმე გულიანად გადაიხარხარა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვისარგებლეთ ამით და საღამოს მოწყობაზე დავითანხმეთ.

როდესაც მოხსენების დაწერა დავასრულე, პოეტის პალატისაკენ გავეშურე. მაგრამ იქ არ დამხვდა. საავადმყოფოს პატარა ბაღში გასულიყო დასასვენებლად. ბაღში რომ შევედი, დავინახე, გალაკტიონს უბის წიგნაკი ამოეღო და მასში გამალებით წერდა რაღაცას. მისთვის რომ ხელი არ შემეშალა, უკან გამოვბრუნდი. ამ დროს ერთმა ავადმყოფმა ხმამაღლა მომაძახა: — თუ გალაკტიონს ეძებთ, ეგერ ბაღში ზისო. გალაკტიონმა ჩვენსკენ მოიხედა, მიცნო და დამიძახა:

— საით, ძამიკო? განა არ სჯობია აქ ვისაუბროთ?! — მეც სწორედ ეს მინდოდა. მივედი, ვაჩვენე შავად დაწერილი მოხსენება და ვთხოვე, თუ არ შეწუხდებით, წაგიკითხავთ-მეთქი. პოეტმა რვეული გამომართვა, გადაათვალიერა, და მერე მთხოვა წამეკითხა. ჯერ გაუბედავად დავიწყე კითხვა, პოეტი გულმოდგინედ მისმენდა. ამან გამამხნევა და უფრო გაბედულად განვაგრძე. მოხსენებას გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსით ვამთავრებდი. პოეტმა ხელი მომხვია, თავისკენ მიმიზიდა, შუბლზე მაკოცა და მითხრა: „შენ პოეტიც და ჩინებული კრიტიკოსიც ყოფილხარო!“ შემდეგ მთხოვა ხელნაწერი მოხსენების პირი მისთვის მესახსოვრა. ამის შემდეგ მან თავის უბის წიგნაკიდან ჯერ რამდენიმე ახალი ლექსი წამიკითხა, შემდეგ სიტყვა ჩამოაგდო ქართულ ლიტერატურაზე, საქართველოს ისტორიაზე, ხელოვნების საკითხებზე და როცა შენიშნა, რომ ამ საკითხებში არცთუ ისე ცუდად ვერკვეოდი, ჩემი ვინაობით და საქმიანობით დაინტერესდა.

მე გალაკტიონს ყოველივე დაწვრილებით ვუამბე, ვუთხარი ისიც, რომ ექიმის გულგრილობით დამეღუპა და-ძმა და ამ გარემოებამ საბოლოოდ გადამაწყვეტინა ექიმი გავმხდარიყავ. ბოლოს ვუთხარი ისიც, რომ ვეუფლები ქირურგიას და პარალელურად არქეოლოგიური, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული და წერილობითი წყაროების მიხედვით ვსწავლობ ძველი ქართული მედიცინის ისტორიის საკითხებს.

გალაკტიონ ტაბიძე და ექიმი პავლე ფირფილაშვილი.



გალაკტიონი გულმოდგინედ მიგდებდა ყურს, ჩემი ამბავი რომ დავამთავრე, ერთხანს ჩაფიქრდა, შემდეგ თქვა: „საინტერესო, საპასუხისმგებლო და მეტად რთული დარგია ექიმობა, საკვლევადაც საინტერესო საკითხი აგირჩევია... მედიცინის ისტორია... მართლაც, განა საინტერესო არ არის რომ მოკლა ოცდაორი წლის ულამაზესი სერაფიტა, მაგრამ როგორც მესხს, უნდა გისაყვედურო, პოეტობას მაინც რომ ექიმობა ამჯობინე. ხომ იცი, პოეტები იბადებიან, ექიმები კი განისწავლებიან“.

მე გავბედე და ასე ვუპასუხე: „თქვენ ჩემზე უფრო კარგად მოგეხსენებათ, როგორი პოეტები ჰყავთ მესხებს, დღეს კი საქართველოს ამ ძველ კუთხეს შესაფერისი ექიმებიც სჭირდება-მეთქი“. გალაკტიონმა ჩემს პასუხზე გულიანად გაიცინა და მითხრა: „აბა, იმაზე რაღას მეტყვი, ექიმები ხომ განისწავლებიან?“. მე მივუგე: „როგორც ნამდვილი პოეტები, ისე ნამდვილი ექიმები მხოლოდ იბადებიან, განსწავლულობა კი, თავთავიანთ სფეროში, მათ ორივეს ერთნაირად ესაჭიროებათ“. „როგორ? ლექსს ხომ ყველა ვერ დაწერს? ექიმობას კი ყველა ისწავლისო“ — თქვა გალაკტიონმა. „არა-მეთქი“, ვუპასუხე, „როგორ თუ არა?“ — მკითხა კვლავ გალაკტიონმა.

ამაზე მე მოწიწებით ვუთხარი: „ზემოთ მოგახსენეთ, რომ ნამდვილი ექიმები მხოლოდ იბადებიან, ე. ი. მინდა ვთქვა, რომ მისწრაფებისა და მიდრეკილების გარეშე ექიმობის სწავლა წარმოუდგენელია. მიდრეკილებაში კი მე ვგულისხმობ იმას, რომ პიროვნება, ვინც ამ სპეციალობას ირჩევს, სხვა ბუნებრივ მონაცემებთან ერთად, დაჯილდოვებული უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, დავრდომილი და გაჭირვებული ადამიანისადმი უანგარო სიყვარულის გრძნობით. თუმცა არსებობენ ერთეული პიროვნებები, რომლებიც ამას უარყოფენ და ჰგონიათ, რომ ექიმობას ყოველგვარი მიდრეკილების გარეშეც დაეუფლებიან. ასე ჰგონიათ განსაკუთრებით იმ მშობლებს, რომლებსაც ექიმობა „შემოსავლიან დარგად“ მიაჩნიათ და თავიანთ შვილებს ნაძალადევად უბიძგებენ ექიმობისაკენ, მხოლოდ იმიტომ, რომ მომავალში „უზრუნველყოფილად იცხოვრონ“. ამგვარი ადამიანები, ჩანს, ან ზერელედ უყურებენ ექიმობას, ან არადა ელემენტარული წარმოდგენა არა აქვთ ამ პროფესიაზე. ექიმის პროფესია, პირველ ყოვლისა, მოითხოვს, რომ მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლთან უნდა იტრიალო, უძილოდ გასტეხო ღამეები, თუ ამას საქმე მოითხოვს, უნდა დაიტანჯო ავადმყოფის ტანჯვით და ტკივილით. დიდ ცოდნა-გამოცდილებასთან ერთად, ეს პროფესია მოითხოვს მრავალმხრივ განსწავლულობას, დიდ ადამიანურ ტაქტს, მოწყალე და კეთილ გულს. ამიტომ, კარგ ექიმს, კარგი მშობლის მსგავსად, მუდამ ახსოვს, რომ მისი შრომის ანაზღაურება რაიმე საზღაურით შეუძლებელია. კარგ ექიმს ისიც ესმის, რომ ჭეშმარიტი პოეტის, პედაგოგის და იურისტის შრომის მსგავსად, მისი შრომის ანაზღაურება მხოლოდ და მხოლოდ ხალხის სიყვარულით შეიძლება. ამგვარი ექიმები ცხოვრებაში სადა, უპრეტენზიო ცხოვრებას ეწევიან, რადგან მათ კარგად იციან, რომ ექიმის, პოეტის, პედაგოგის და იურისტის შრომასა და ღვაწლზე დიდადაა დამოკიდებული მთელი ერის ცხოვრების, მისი ზნეობრივ-მორალურ სამყაროს სიწმინდის დაცვის საქმე-მეთქი.

— ხოლო რაც შეეხება მარტოოდენ განსწავლულ ექიმებს, ისინი დაბალი რანგის განსწავლულ პოეტებს, პედაგოგებს და იურისტებს ჰგვანან, რომელთაც ამოძრავებთ მხოლოდ პირადი პატივმოყვარეობა, ფულის მოხვეჭა და არ უყურებენ, თუ რა ეროვნული უბედურება მოსდევს იმას, როცა ამ პროფესიებს კაცი სიმდიდრის და შემოსავლის წყაროდ გაიხდის. ამით უნდა აიხსნას ის, რომ ავადმყოფის თვალში ამგვარი ექიმის რჩევა-დარიგებას ფასი არ აქვს, ავადმყოფს მისი არ სჯერა და ამიტომ არც მის გამოწერილ წამალს აქვს ძალა. ამგვარი მკურნალი ექიმი ხელოსანია და არა ხელოვანი — ადამიანის ხორციელი და სულიერი მკურნალი.

გალაკტიონი კვლავ მისმენდა, ცოტა ხნის დუმილის შემდეგ წარმოთქვა: „მაშ ნამდვილი ექიმი მხოლოდ მოწოდებით შეიძლება იყოს, არა?!.. სწორია, სრული ჭეშმარიტებაა!“.

მე მას ბოდიში მოვუხადე, საუბარი გაგვიგრძელდა, დაგღალეთ-მეთქი და ფეხზე წამოვდექი. „არა, გულახდილად გეუბნებით, — მითხრა მან, — ამ საუბარში, პირიქით, დავისვენე, — ყური მიგდე, — მე ვიცი, რომ საავადმყოფოს თავისი ფოტოგრაფი ჰყავს, თუ არ შეწუხდები, მოძებნე და ამ ბაღში ერთი სამახსოვრო სურათი გადავიღოთ“.

მე, ცოტა არ იყოს, მომერიდა გალაკტიონთან სურათის გადაღება. პოეტი მიმიხვდა და მითხრა: „აქ უხერხული არაფერია... დღევანდელს ჩვენს საუბარს ერთი სამახსოვრო სურათის გადაღება ნამდვილად შეშვენისო“.

მე მაშინვე გავეშურე ფოტოგრაფის კაბინეტისაკენ, მოვძებნე იგი და ვთხოვე აპარატით პატარა ბაღში ჩამოსულიყო. ფოტოგრაფმა იაკობ ცეიმმა მოსვლისთანავე პოეტი მოიკითხა, შემდეგ თავის საქმეს შეუდგა, ორჯერ გადაგვიღო. ორთავე სურათში პოეტს საავადმყოფოს ჩვეულებრივი ტანსაცმელი და თბილი ხალათი აცვია.

დანიშნულ დღეს საავადმყოფოს კლუბში გაიმართა პოეტისადმი მიძღვნილი საღამო. დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. ფანჯრები გააღეს და ავადმყოფთა ნაწილი ამ ღია ფანჯრიდან უსმენდა საღამოს.

გალაკტიონი ორატორებს გულდასმით უსმენდა, ყველას სათითაოდ ხელს ართმევდა, ზოგ მათგანს ჰკოცნიდა კიდეც. საავადმყოფოს თანამშრომლებმა მას მიართვეს კალათა სამახსოვრო წარწერით. საღამოს პირველი ნაწილის დასასრულს პოეტმა წაიკითხა ამ დღისთვის სპეციალურად დაწერილი ექსპრომტი, რომელიც აქვე მოგვყავს (იბეჭდება პირველად):

ნება მომეცით შევაქო ლექსით
სინათლე, არა უსინათლობა —
აგრეთვე [illegible] მომეცით
თან უწრფელესი გითხრათ მადლობა!
ამხანაგებო! ვით დაგიხატოთ
ჩანგი, ამ გულზე რომ დამაჩინეთ,
მადლობა როგორ გადაგიხადოთ —
ბევრჯერ რომ სიკვდილს გადმარჩინეთ.
ო, გული... როგორ მტკიოდა გული!
მაგრამ აქ ჩნდება გზა სახელოვ;
მკურნალი მხნე და თავდადებული
რომელი ერთი დავასახელო...
ბევრი სიმღერა ქვეყნად მიწყდება,
ბევრი წაშლილა გზად ნაურმალი,
მაგრამ არავის დაავიწყდება —
სულის და გულის ჩვენი მკურნალი!
ტკბილსა თუ მწარეს, ვინ ჩამოთვალოს,
დრო რამდენნაირს აფრქვევდა სურნელს,
და ვინც შეიცნობს დარდს სამკურნალოს —
იგივ მიუჩენს საყვარელ მკურნალს!
ცხოვრება გზაა სუნთქვის მზიანის
ასე შემგრძნობი, ასე აზიზი:
რაა თვითეულ ადამიანის
სიცოცხლეზე რამ უძვირფასესი?
როგორ მძლედ სუნთქავს ყოველი მკერდი
მადიდებელი მადლიერ სხივის —
ამაზე ბრწყინავს აქ არა ერთი,
არამედ მთელი გზა კოლექტივის!
გრძნობს გულთბილობას და მზრუნველობას
ავადმყოფთ სახის აცახცახება.
გაჯანსაღება! — ისმის ძახილი,
გაჯანსაღება, გაჯანსაღება!
თუ აქ ორმოცდაათი წლის წინათ...
მკურნალმა ბნელი გამირიყრაჟა...
აწ ექიმს, ყველას ამ გზაზე მშრომელს,
მადლობა!
ქება!
დიდება!
ვაშა!

საღამოს მეორე განყოფილება დაეთმო კონცერტს. სხვა სიმღერებთან ერთად შესრულებული იქნა გალაკტიონის ლექსებზე დაწერილი რამდენიმე სიმღერა. პოეტი უზომოდ კმაყოფილი დარჩა. საღამო დამთავრდა. ხალხი წავიდ-წამოვიდა.

საავადმყოფოს კლუბში კი გალაკტიონს გარს შემოერტყნენ, მთავარ ექიმსა და პარტბიუროს მდივანთან ერთად, მისი პოეზიის თაყვანისმცემლები. გულითადი საუბრის შემდეგ გალაკტიონი პალატამდე მივაცილეთ და ერთმანეთს ღამენებისა ვუსურვეთ. განშორებისას მან ყველა ჩვენგანი სათითაოდ გადაკოცნა. მეორე დღეს საყვარელი პოეტი საავადმყოფოდან გაეწერა. ექიმებთან ერთად იგი ზეიმით გააცილეს ავადმყოფებმა და პრაქტიკაზე მოსულმა სტუდენტებმა. პოეტის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

რას წარმოვიდგენდით მაშინ, რომ გამოჯანმრთელებული, ახალი ენერგიითა და ჯან-ღონით აღსავსე პოეტი, გენიალური მესიტყვე ჩვენი დროისა, ოთხი წლის შემდეგ გულს დასწყვეტდა თავის მკითხველებს, მთელ საქართველოს.

ქართველმა ხალხმა საყვარელ პოეტს მთაწმინდის სავანეში — ბარათაშვილის გვერდით მიუჩინა მუდმივი ბინა.

**პავლე ფირფილაშვილი.**

## ზაქარია შერაზადიშვილი

### თოვლის გაზეთი

თოვს თბილისში და ხილით ასეთით,
როგორ იქნება, რომ არ დაითვრე,
თოვამ
ვეება კედლის გაზეთი
ფრთხილად დაჰკიდა მამადავითზე.

და მე არ მიკვირს, ძმაო, სრულებით,
გარეთ რომ იწევ, შინ ვერ ეტევი,
გოგო-ბიჭებმა თხილამურებით
ჩამოუტარეს გაზეთს სვეტები.

ახლა დარბიან ცელქი ბიჭები,
თოვლის გუნდებით სვამენ წერტილებს...
ისე ჟივჟივებს გუნდი ჩიტების,
ციდან უკრავდეს თითქოს მესტვირე:

აბოდებთ ხორბლით სავსე ტომრები,
არც კი შეკრთნენ და არც კი შეშინდნენ...
დგანან ხეები — კორექტორები
და კითხულობენ გაზეთს მეშვიდედ...

მოდის და მოდის ფიფქი ბზრიალით,
ზეცამ წაიძრო ქარის ავშარა,
ხვალ თუ არ დადგა დარი მზიანი !
და თოვლის შრიფტი სულ არ ჩაშალა...

### ჩაჩი, ხალათი

გრიგოლ მუხაძის ხსოვნას

თოვს და
ჩამოდის ლამის ცა ერთად,
ჩანს, ყველა გზები გახსნა ჰაერმა,
რომ რუხი
აღარ დარჩეს რუხადვე...
სუნთქვას მიეცა ისე ხალვათი,
რომ შეიშმუშნა
ბაღში
მუხაძე...

და შეიმოსა ჩაჩით, ხალათით...

დაიძრა თეთრი ჩაჩით, ხალათით,
რომ ვინმეს სუნთქვას მისცეს ხალვათი...

### თოვლის ეტრატი

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნას

თოვამ
დაუშვა ფარდა სიხშირის,
ჰაერში ელავს, როგორც ნაგლინი,
ბაღში იპოვა ჯავახიშვილი,
გადაუშალა
მუხლზე
გრაგნილი.

თეთრი გრაგნილის ნუსხა უთარგო
მოძღვართა-მოძღვარს
უძევს
კალთაზე,
რომ ამოუხსნას, ამოუთარგმნოს
მტრისა და მოყვრის ასიათასებს.

რაკი თბილისში თოვს და აგრილდა,
ხარობს ივანე სხვებზე მეტადრე,
ზამთარი აწვდის ხელში გრაგნილად
თოვლის
ფიფქებით
ნაწერ
ეტრატებს...

### მამაკაცურად

ისე სუფთაა სამშობლოს ცანი,
მჯერა
ღრუბელიც კრძალვით დაცურავს.
ძნელბედობას კი
რამდენჯერ ვცანით
ქალის ალჭურვა მამაკაცურად.
თუმცალა
ქვეყნად ისიც კაცია,
ამაყად ზიდავს „დედაკაცობას",
სიკეთე,
შვება,
მადლი
რაც კია,
მისგან შევძელით ნახვა, გაცნობა.
ჰოდა,
როდესაც არ გვაძგას ძალა,
ხომ იქნებოდა ყველას დამცრობა,
დავიწყებოდეს დედაკაცს
კრძალვა
და გაეწიოს მამაკაცობა?!

სიმყუდროვეა
დღეს ციდან ცამდე,
ყველა ღრუბელი კრძალვით დაცურავს...
ძნელბედობას კი
რამდენჯერ ვცადეთ
ქალის ალჭურვა მამაკაცურად...

### მთაში აპრილი

მაისმა
გახსნა ყველა სარკმელი,
შვებით ისუნთქეს ფართო ოდებმა...
მინდვრიდან მოდის სუნი
საკმევლის,
ხევიდან აღწევს მეწყრის გოდება...
ვაითუ,
მოჰყვა მის ქვეშ აპრილი,
მთისაკენ ძლივს რომ მიაბოტებდა!..

### ქ ე დ ა ნ ი

იქ, სად ზედა და ქვედა
სახლობს და შვენის ქვედი,
ფრთაში ნატყვიარ ქედანს
ვერ გადუვლია ქედი.

ბუმბლი ფრიალებს ზოგან,
ზოგან ჩანს სისხლის წვეთი,
ვაითუ,
ვეღარ გოგავს,
ვაითუ
გაწყრა ღმერთი!...

## ბერდია ბერიაშვილი

### ორი თბილისი

მეტროპოლიტენის მუშებს

ლურჯი ანძებით მზისკენ წასულა,
როგორც ნატვრა და როგორც ოცნება.
დასაფიცებლად გვყოფნის წარსული,
დღევანდელი დღე, — გასაოცებლად!

ქალაქს ქვეშ ჩასვლა უნდოდა ქალაქს,
ამყოლს ამ დროის ლტოლვის და ღელვის
და დღეს ქვესკნელიც ღიმილს ვერ მალავს,
ერთ ცის ქვეშ ორი თბილისი მღერის.

მაშ, აბა, ლექსი როგორ დავზოგო,
როდესაც გული ასე ხმიანებს.
მიწის სადგურებს ხელს ვართმევ როგორც
ახლადგაცნობილ ადამიანებს!

### ცხოვრებისეული ბალადა

„ვცვლი სამოთახიან ბინას ერთ ერთოთახიან და ერთ ოროთახიან ბინაზე".

ქუჩებში გამოკრული განცხადებებიდან

მათ ერთმანეთი მოსწყინდათ მხოლოდ
და ერთად ყოფნა მიაჩნდათ ჭვარცმად
და როგორც ხდება, ბოლოსდაბოლოს,
არ დათმო ქალმა,
არ დათმო კაცმა.

ერთმანეთის რომ არცა რა ესმით,
ერთ ჭერქვეშ დღესაც რამდენსა სძინავს.
გაიყო გული,
და როგორც წესი, —
ცივი კანონით იყოფა ბინა!

რა რჩება ქმრისგან? დაღლილი სახე
და ერთადერთი იმედი, —
შვილი.

მას ვეღარავინ დაუგებს მახეს,
ცალ უღელს გასწევს, სულ ცალად ივლის.

მიდის, ან ვინ ვის დაიჭერს ძალით,
კაცს ეყო სხვისი ტრფობა ფარულად.
ვის შეუნახავს ხალთაში ხმალი,
თივაში ცეცხლი სად დამალულა.

ბედო, ვის გზაზე ჭალად ინთები,
ვის ჩაუწყვეტავ იმედის ფესვებს.
ბავშვს ესიზმრება მამის თითები,
რომლებიც უკვე სხვას უალერსებს.

განცხადებებს კი აკრავენ ისევ:
ისმინეთ!
ორად იყოფა ბინა.
ვკითხულობ, ფიქრებს ვეძლევი მყისვე,
ვკითხულობ, მერე ღამე არ მძინავს.

ნუთუ ამდენის შესძლებს ატანას,
ხომ არ ჩაღობავს მის სავალს ნისლი,
ჩიორა გული უთრთის პატარას,
რადგან არ ძალუძს გაყოფა მისი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამომძიებლის შეცდომა

ნოდარ
ცხირელი

## თავი მეთორმეტე

სასტუმროს რესტორანში ორკესტრი უკრავდა. ერთად მიდგმულ მაგიდებთან ისხდნენ ვარდოსანიძე და ცაბაძე თავიანთი ცოლებით, ალავიძე (გამომძიებელმა ის დაფანჩული წარბებით იცნო) და კიდევ ორიოდე უცნობი; სულაძესა და ბურდულს, მეზობელ მაგიდაზე, იქ ნათქვამი თითქმის ყოველი სიტყვა ესმოდათ. ლაპარაკობდნენ ყველა, გარდა მოხუცი ვარდოსანიძისა და ცაბაძის მეუღლისა, რომელიც მეტად სიმპათიური, ჩუმი ქალი ჩანდა და საუბრისთვის თითქმის სიტყვა არ შეუწევია.

— კარგად ისიამოვნეთ დღეს კოხტა-გორაზე, ბატონო გურამ? — მიუბრუნდა ალავიძე ცაბაძეს, რომელმაც წელან ისე გაბადრულმა და ბეჭებგაშლილმა შემოიყვანა თავისი ცოლი, რომ ზედ ეტყობოდა, რაღაცით ძალზე გახარებული იყო.

— ძალიან! — უპასუხა ცაბაძემ და კმაყოფილი ჩაცინებით გადახედა მაგიდას კრიმინალისტების ზურგს უკან, სადაც ის იყო, მერი, ლაურეატი და მისი მეგობარი სხდებოდნენ.

— ეს გოგო დღეს ცაბაძის მანქანით მოვიდა კოხტიდან, — ჩუმად უთხრა სულაძეს ოპერრწმუნებულმა.

— ჰოო? — დაბნეულად ჩაილაპარაკა გამომძიებელმა, — კარგი, მაგრამ, მაგ გოგოს ჭკუა არა აქვს, ცოლშვილიან კაცს რომ დასდევს?

— რა ვიცი? — მხრები აიჩეჩა ოპერმა.

გულამღვრეულმა გამომძიებელმა ზურგი შეაქცია ცაბაძის მაგიდას და პირამდე გავსებულ დარბაზს გადახედა, მაგრამ მის თვალს აქ სანუგეშო ვერაფერი შეხვდა. შეერთებულ მაგიდებთან, ორკესტრის ცოტა წინ, ახალგაზრდების ერთი საკმაოდ თავაშვებული კამპანია მოკალათებულიყო და ისე ხმაურობდნენ, რომ საეჭვო იყო, მათს ღრეობას მშვიდობიანად ჩაევლო. დარბაზში რაღაც უკონტროლო, აწყვეტილი ატმოსფეროს მოძალება იგრძნობოდა. მაგრამ ყველაზე უსიამოვნო ნალექი გამომძიებლის გულში მისმა მეზობელმა მაგიდამ დატოვა, სადაც ორი ორმოციოდე წლის ქალი იჯდა. მათ თან ახლდათ დიდთავა და არაპროპორციულად განვითარებული ჭაბუკი, რომელიც თავისი განებივრებული და, ამავე დროს, ბავშვური გამომეტყველებით ყურადღებას იქცევდა. სამივენი შამპანურს წრუპავდნენ და დარბაზს ერთნაირი უქმი ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდნენ. „მარტო ეზარებათ შემოსვლა. ეს ლაწირაკიც იმიტომ წამოუყვანიათ რესტორანში“, — უკმაყოფილოდ გაიფიქრა გამომძიებელმა.

— მერი, როგორ გიხდებათ, რომ ცოტათი მზეზე დამწვარი ხართ! — გაიგონა გამომძიებელმა ლაურეატის უფრო გალაზლანდარავებული, ვიდრე შემთვრალი ხმა, — აი შეხედეთ, ამ დარბაზში თქვენისთანა ქალი არ არის!

სულაძემ მიიხედა და დაინახა, რომ დათო გუნია ანთებული თვალებით ეალერსებოდა ქალიშვილის მართლაც ოდნავ მზედაკრულ ნაკვთებს, და სახეზე ის დაუდევარი, ცოტა არ იყოს მსახიობური გამომეტყველება შეჰყინვოდა, რომელიც გამომძიებელს მასში თავიდანვე არ მოეწონა.

— თქვენ კარგად იცით, რომ გულწრფელი არ ხართ, — იმმუშნებოდა მერი.

— გულწრფელი ვარ, და მინდა ახლა ისეთი რამ ჩავიდინო, რომ თავი მოგაწონოთ. გინდათ ავდგები, და ვისაც მეტყვით, გოგოს წავართმევ...

— ეგ პატიოსნური არ იქნება, — თქვა მერიმ, — ხომ შეიძლება, გოგოს თქვენ კი არა... თქვენი წოდებები მოეწონოს?

გაგრძელება. იხ. „დროშა“, № 8

— ეგ სულ ტყუილია! — თქვა ვაჟმა მსუბუქად, — მე ტექნიკუმის განათლება მაქვს. თუ რამე ვერ მოვზომე, მეც ისე გამლახავენ აქ, როგორც ყველა სხვას.

სულაძეს, ის იყო უნდოდა ეთქვა, მეცნიერი-კაცი რა მარტივ ტყუილს კადრულობსო, როცა ჭაბუკი ფეხზე წამოდგა და დაუდევარი, მოქანავე ნაბიჯით გაემართა ცაბაძისა და მისი კოლეგების მაგიდისკენ.

— შეიძლება, ცეკვა გთხოვოთ? — გარკვევით წარმოთქვა ჭაბუკმა და ცაბაძის ახალგაზრდა მეუღლეს თავი დაუკრა.

— არა! — ქალის მაგიერ უპასუხა ქმარმა.

— ეს თქვენი აზრია, ქალბატონო? — იკითხა ლაურეატმა. ცაბაძე ფეხზე წამოხტა. სულაძემ შენიშნა, რომ მას მომუჭული ხელის თითები უთამაშებდა.

ამ დროს ვარდოსანიძის მეუღლე წამოდგა და ლაურეატს შინაურულად მკლავზე ხელი მოჰკიდა.

— ცირა არ ცეკვავს, დათო. მოდი მე მეცეკვე, — თქვა მან რბილად.

ლაურეატმა ანგარიშმიუცემლად ამოისუნთქა და ქალს წელზე ხელი შემოხვია. ქალის ამ, ცოტა არ იყოს, ფამილარულმა საქციელმა სუფრასთან მსხდომების გაკვირვებული გამოხედვა გამოიწვია, მაგრამ ქალის მიზანს, როგორც ჩანს, სწორედ ის შეადგენდა, რომ ამ გზით დათო გუნიას თავმოყვარეობა დაეშოშმინებინა.

ცაბაძემ უხმოდ და კმაყოფილი ჩაღიმებით გააყოლა თვალი ლაურეატის ზურგს. მერე დაჯდა, მაგრამ ქალის სახეს რომ მოჰკრა თვალი, რომელიც ჭაბუკს თავდავიწყებით შესციცოდა, კვლავ სახე მოეღუშა.

მძიმე და სატანჯველი ფიქრი არ ასვენებდა მას: იმდენად ამ ახალგაზრდის თავხედობა არ აწუხებდა, რამდენადაც მისი ასე დიდი წარჩინებულობა, თორემ როგორ აპატიებდა თავისი ოჯახის ღირსების ასე გამომწვევად შელახვას.

გამომძიებელსაც თავისი საფიქრალი ჰქონდა. „მაინც ხულიგანია. ხალხში გამოსული ხულიგანი! — ფიქრობდა იგი და ცაბაძეს გასცქეროდა, — რატომ გრძნობს თავს დამცირებულად? იმიტომ, რომ ლაურეატი მასზე დიდი მდგომარეობისაა. თორემ, ისე, დარწმუნებულია, რომ ადვილად გაუსწორდებოდა და ეს ანგარიშსწორებაც ხახვივით შერჩებოდა!“

ცაბაძე ვერმხედველი თვალებით უყურებდა დარბაზს. მერე გამოერკვა და მერის მაგიდისკენ გაემართა.

— შეიძლება? — ხელი გაუწოდა მან მერის.

—არა! — უთხრა ტანწვრილმა ახალგაზრდამ.

— მე თქვენ კი არა, მერის ვეკითხები.

— თეიმურაზ, ჩვენ დღეს ერთად ვიყავით კოხტაზე, გავალ ხუთი წუთით, — თქვა მერიმ და ფეხზე წამოდგა.

ცაბაძე ცუდად და ძალზე ძველებურად ცეკვავდა — ეს სულაძემაც კი შენიშნა, მაგრამ ნორჩი და ლამაზი ქალიშვილის წყალობით, რომელსაც იგი ეცეკვებოდა, მაინც დარბაზში მყოფთა ყურადღება მიიქცია. ორკესტრი რომ გაჩერდა, სულაძემ დაინახა, რომ გურამმა მერი თავის მაგიდასთან მიიყვანა და თავისიანები გააცნო. მის სახეს გამარჯვების ზეიმი ეწერა.

ლაურეატმა ვარდოსანიძის მეუღლეს თავი მიანება და, სახეარეული თავის მაგიდასთან მობრუნდა.

— რატომ გაუშვი? — გაიგონა სულაძემ მისი გაგუდული ხმა.

— რა მექნა? დღეს კოხტა-გორაზე ვაუცხნია, — უპასუხა ტანწვრილმა ახალგაზრდამ.

ლაურეატი მოწყვეტილი, დაჯდა სკამზე და სახეზე ხელი აიფარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორიოდე წუთის შემდეგ ცაბაძემ მერი მის მაგიდასთან მიაცილა. ლაურეატს არც ერთისთვის, არც მეორისათვის სახეზე არ შეუხედავს. მხოლოდ სკამი თავაზიანად გამოსწია და ქალიშვილს თავი დაუხარა...

დარბაზში დროსტარება თანდათან ხურდებოდა. ახალგაზრდებისა და ქალიშვილებისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელშიც სულაძემ ალავიძის შვილი იცნო, დარბაზის შუა ნაწილს დაპატრონებოდა. ისინი გატაცებითა ცეკვავდნენ რაღაც საშუალოს ტვისტსა და კინტოურს შორის, ცდილობდნენ ორკესტრის თავბრუდამხვევ რიტმს არ ჩამორჩენოდნენ და ორკესტრანტებს ხელით ამხნევებდნენ. ხმაურიანი კამპანია, სულაძესაკენ ახლოს რომ იჯდა, სახეებზე შეყინული ღიმილით ადევნებდა თვალს მათს დროსტარებას.

ერთი ახალგაზრდა, რომელიც ამ კამპანიაში, როგორც ეტყობოდა, ცოტა დაჩაგრული ჰყავდათ, გამოეყო თავის ამხანაგებს და მებუფეტესთან სიგარეტებისათვის მივიდა. ბიჭი ბარბაცებდა და შავგვრემანი სახის მონაცრისფერო იერით უსიამოვნოდ გამოირჩეოდა აქაურ მზემოკიდებულ სახეთა ფონზე.

—ბ-ბოდიში, ქალბატონო!—უთხრა მან დახლთან მდგომ დარბაისელ მანდილოსანს, რომელიც უცაბედად შეავიწროვა, და სცადა სწორად დამდგარიყო.

— არაფერს, გენაცვალე, მოდი, რა გინდა, — დაუყვავა ქალმა.

— არა, ქალბატონო! ბ-ბოდიში, თუ შეცდომა დავუშვი, — თქვა თითქმის გონდაკარგულმა ბიჭმა, მაგრამ მაინც ჯიბიდან მანეთიანები ამოიღო და დახლიდარს რამდენიმე კოლოფი სიგარეტი გამოართვა.

— ასეა სულ. ხუთი დღეა აქ ვარ, ჯერ ჰაერზე გასული არ მინახავს, — ამოოხვრით უთხრა მანდილოსანმა რიგში მდგომებს, როცა ბიჭი წავიდა.

ბიჭი არეული ნაბიჯით მიდიოდა მაგიდებს შორის. გზაში ერთ-ორ კაცს მხრით წამოედო, მაგრამ ბოდიშის მოხდა არც უფიქრია, პირიქით, გზას რომ უთმობდნენ, ეს თითქოს, აღიზიანებდა კიდეც; იგი თვალით შეხვდა დიდთავა ყმაწვილს და თითით მოიხმო. „ცეცხლი მომეცი“, უთხრა მან დიდთავას. ის მაშინათვე წამოხტა და თავისი მხლებელი მანდილოსნებისაგან გამორთმეული სანთებელა აუნთო. მაგრამ ფერმკრთალ ბიჭს ხელები უკანკალებდა და სიგარეტს უცბად ვერ მოუკიდა. „ხელი გააჩერე რა, შენი აქ მომყვანის...“ მადლობის მაგიერ შეუკურთხა მან დიდთავას და, მისკენ მიუხედავად, აუჩქარებლად განაგრძო გზა თავის მაგიდისაკენ. თითქოს თავისი სიდინჯით მისი კიდევ უფრო დამცირება უნდოდა.

ხულაჲე ფხიზლად, თითქმის თვალის დაუხამხამებლად ადევნებდა თვალს ბიჭის ყოველ მოძრაობას. ბიჭს სასმელი ეტყობა, თანდათან ეკიდებოდა, მან მხარი წაჰკრა ცაბაძეს; მაგრამ ცაბაძემ მხოლოდ ფრთხილად გაასწორა და სრული სერიოზულობით რაღაცა საბოდიშო უთხრა. ბოლოს მაინც დაეჯახა ერთ ვაჟს ალავიძის შვილის კამპანიიდან, რომელიც ქალიშვილს ეცეკვებოდა და ენის კიდებით, ირონიული ბოდიში მოიხადა: „ბოდიში, თუ დაგეჯახე“, „არაფრის. ისე რომ იცოდე, მართლა დამეჯახე“, უპასუხა ვაჟმა. „არა მართლა“ — ჰკითხა ფერმკრთალმა. აქეთ ორივე ბიჭის ამხანაგებმა, რომელნიც დარბაზის სხვადასხვა მხარეს

იმყოფებოდნენ, ცეკვა შეწყვიტეს და ნელ-ნელა აქეთ მოიკრიფნენ. ინციდენტმა დარბაზის ყურადღება მიიზიდა.

დიდთავა ყმაწვილი, წელან რომ დაჩაგრეს, ახლა ამდგარიყო და მოწუსხული თვალებით შესცქეროდა შელაპარაკების ადგილს. ახლოს მისვლას კი ვერ ბედავდა. „სიგარეტი მომეცი", უთხრა მან ერთ ახალგაზრდას, მაგრამ მან ყურადღება არ მიაქცია. „შენ გეუბნები", გაიმეორა დიდთავამ და ბიჭს უხეშად გაავლო ხელი. „რა დროს შენი სიგარეტია, შე ცხვირმოუხოცავო", უყურადღებოდ გადმოუგდო ბიჭმა და თავზე ხელის გადასმა მოუნდომა. იმან მკლავზე ჩამოუკრა და დარბაზის იმ კუთხეში ალიაქოთი ატყდა. ნახევარი წუთის შემდეგ ორკესტრის ხმა თითქმის აღარ ისმოდა. დარბაზის ნახევარში, იქ, სადაც აქამდე ორი ჯგუფი იჯდა, ახლა ავეჯის ხრიალი და ჭურჭლის ლაწა-ლუწი ისმოდა. სტუმრები ფეხზე წამოხტნენ, ზოგი კედელს აეკრა, ზოგი ქალებს აეფარა; ჩხუბის წამომწყებნი მეტნი იყვნენ, მაგრამ ხალხის სიმრავლე უშლიდათ და ალავიძის ბიჭის ამხანაგები, ჯერჯერობით, თანასწორ წინააღმდეგობას უწევდნენ.

— არ გაუშვა! მანქანასთან არ მივიდეს! — დაიძახა ამ დროს ერთმა ალავიძის კამპანიიდან და მოწინააღმდეგეს, რომელიც გარეთ გაღწევას ცდილობდა, ხელით წაეტანა. მონაწილენიც და ცნობისმოყვარენიც გარეთ გასასვლელ კარებს მიეჯარნენ. სულ ცოტა ხანში ჩხუბმა გარეთ, გატკეპნილი თოვლით დაფარულ ეზოში გადაინაცვლა.

დიდთავა ყმაწვილიც ქალების კონტროლს დასძრომოდა და მოჩხუბართ ფეხებში ებლანდებოდა. მისი უმწიფარი და ცოტა მოსულელო სახე ამ საერთო არეულობის ფონზეც კი ყურადღებას იქცევდა. რატომღაც იგი უფრო თავისი შეურაცხმყოფელის ჯგუფს ეტმასნებოდა, ვიდრე მისი მოწინააღმდეგეებისას.

სულაძე და ბურდული ფხიზლად, მაგრამ უხმოდ ადევნებდნენ თვალს ჩხუბს; დიდი ხიფათი ჯერ არ ჩანდა. ქვემოთ, გზაზე უკვე მილიციის მანქანის ლურჯი სინათლე გამოჩნდა. უცებ ჩხუბის მონაწილეებმა დანის გაელვება შეამჩნიეს. ბრაზისაგან სახემოქცეულ დიდთავა ყმაწვილს დანა გაეშალა და მოხრილი, მალვით მირბოდა ბიჭისაკენ, რომელმაც მას გაარტყა. ერთ წამს ჩხუბი შეწყდა, მონაწილენი ადგილზე გაიყინენ. ბიჭი, რომელსაც დიდთავა უმიზნებდა, გვერდით იდგა და მას ვერ ხედავდა. იმავე წამს ლაურეატი გრძელი ნახტომით გაწვა თოვლზე, დიდთავას ფეხში ხელი სტაცა და ძირს გაშოტა. დიდთავას დანა გაუვარდა. შენობის კუთხეს მილიციის მანქანამ შემოუხვია.

ჩხუბის მონაწილენი სწრაფად გაიფანტნენ, მოედანზე მხოლოდ ის მაყურებელნი დარჩნენ, რომელთაც არ ეშინოდათ ჩხუბში მონაწილეობას დაგვაბრალებენო.

— ჩქარა, ის ჩხუბის ამტეხი დავაკავოთ! — უთხრა ბურდულს სულაძემ, — ეგებ ანაბეჭდი ავუღოთ!

მაგრამ მოედანზე ის ბიჭი აღარ ჩანდა.

## თავი მეცამეტე

მეორე დღეს გამომძიებელი უკვე თბილისში იყო. მისი სახურავდათოვლილი მანქანა დილითვე მიადგა ინსტიტუტის ფილიალის კარებს. სანამ, მისი თხოვნით, ბურდულის მიერ გადაღებულ ფოტოფირებს იქვე ლაბორატორიაში გაამჟღავნებდნენ და დაბეჭდავდნენ, მან ფილიალის ხალვათ შენობაში კიდევ ერთხელ გავლა-გამოვლა და კადრების უფროსთან გასაუბრება არჩია.

— ეს ჩვენი განთქმული ლაბორატორიები, ეს ახალი კორპუსის მაკეტი, — უჩვენებდა მას კადრების განყოფილების უფროსი. ფილიალში ახლა დაუსწრებელ განყოფილებაზე მისაღები გამოცდები მიმდინარეობდა და შენობაში, სადაც გარეშე ხალხს აღარ უშვებდნენ, უჩვეულო სიწყნარე სუფევდა. — მე ერთი მიკვირს, ბატონო: თუ ქლიბიძე მართლა აბიტურიენტმა მოკლა შურისძიებით, მაშინ რაღა ის ამოარჩია, ვინც მხოლოდ დერეფნიდან აგდებდა? განა იმდენი ჭკუა არ ჰქონდა, მიმხვდარიყო, რომ მის ფილიალში მიღებას ქლიბიძე არ წყვეტდა?

— რას ეწოდება „ჭკუა"? — შენიშნა გამომძიებელმა, — ჭკუაა, მაგალითად, კაცი რომ მრუდე სიტყვისათვის ადამიანზე დანით იწევს? განა არ იცის, რა მოელის? მაგრამ არა! იმ წუთში დაბრმავებულია, თვალზე ლიბრი აქვს გადაფარებული! ჯერ ატყუებს თავის თავს და სხვას, თითქოს მრუდე სიტყვის მოთმენა მართლა სიცოცხლედ უღირდეს, მერე უკან ველარ იხევს; სანამ ბოლმა გაუნელდებოდეს, ცდილობს მას გზა მისცეს! საიდან აქვს ეს ბოლმა, მე არ ვიცი. მაგრამ ეს კი ვიცი, რომ მაშინ დიდს და პატარას ველარ არჩევს, მისთვის სულერთია კომენდანტი და დირექტორის მოადგილე...

კადრების უფროსი უფრო ზრდილობით უსმენდა გამომძიებელს, ვიდრე ყურადღებით, მხოლოდ მოადგილის ხსენებაზე დაკვირვებით შეხედა სახეზე და ოდნავ ჩაიცინა. ამასობაში დერეფნის ბოლომდე გავიდნენ და საკმაოდ ფართო კიბეს თავს დაადგნენ... ბეტონის ნახევარსარდაფს სამოციოდე წლის, ცხვირპაჭუა და დათვივით მოუხეშავი კაცი ჰგვიდა, მან უემურად შეხედა შემოსულებს და თავისი საქმე განაგრძო.

— გამარჯობა, ფიდო! — უთხრა მას კადრების უფროსმა და მერე გამომძიებელს მიუბრუნდა, — დარაჯია, სხვათა შორის, ქლიბიძის მოყვანილია. ხომ არ გნებავთ გაესაუბროთ? — და ისევ დარაჯს გაეძახა:

— შალვა როგორი კაცი იყო, ფიდო? შალვა ქლიბიძე?

დარაჯმა უნდობლად შეხედა, თითქოს გაუკვირდა, ასეთი რამ რა საკითხავიაო.

— შალვა? ისეთი კაცი იყო, აი, აქეთ რომ ის დაგვეყენებინა, იქით — ესენი სულ, დირექტორიან-პროფესორიანად, იმას ვერ აიწონიდნენ. შალვა! მე რომ სიდედრი მამიკვდა, თავისი ხელით ხუთასი მანეთი მომცა. „აიღე, ფიდო, მტერი გყამ, მოყვარე გყამ, დაგჭირდებაო".

და ისევ ცოცხს მიუბრუნდა. კადრების უფროსმა სულაძეს ანიშნა და სათავსოდან ისევ სუფთა ჰაერზე გამოიყვანა.

— ხედავთ? ექვსი თვის ხელფასი სიდედრის ქელეხისათვის მისცა, — თქვა კადრების უფროსმა, — ქლიბიძის კაცია. ანკეტაში წერს, მენახირე ვიყავიო, მაგრამ ნამდვილად ყასაბი იყო და საქონლის ქურდი. თორმეტი წელი აქვს მოხდილი. საქონლის პარვის დროს მაგის ამხანაგს მწყემსი შემოაკვდა.

— ქლიბიძესთან რა აკავშირებდა, იცი? — იკითხა სულაძემ.

— რა ვიცით? მოიყვანა და ჰყავდა. სასჯელი მოხდილი ჰქონდა, დარაჯად მუშაობას ვერ ავუკრძალავდით.

— საინტერესოა, — ჩაილაპარაკა სულაძემ.

* * *

სურათებში, რომელიც სულაძემ მაგიდაზე გაშალა, ფილიალის ორიოდე კურსდამთავრებული და ასიოდე სტუდენტი აღმოჩნდა. მათ შორის, რა თქმა უნდა, ალავიძის ბიჭიც; სულაძე მოუთმენლად მოელოდა, რომ კადრების უფროსი ყურადღებას წუხანდელი ჩხუბის ამტეხზე შეაჩერებდა.

— ესეც ჩვენია, — თქვა კადრების უფროსმა, — თენგიზ მაისურაძეა. წელს დაუსწრებელზე გადავიყვანეთ.

— ქლიბიძესთან რამე საქმე ჰქონია?

— არაფერი. პირველ წელსვე ფილიალში ჩაირიცხა.

— ნაცნობები ვინ ჰყავს, ან ჰყოლია? გოგოები, მაგალითად? შეგვიძლია დავადგინოთ?

— ალბათ, მაგრამ ახლა ასეთი ცნობები არ გვაქვს.

სულაძემ მაისურაძის ფოტოს უკანა მხარეს ფრთხილად წააწერა გვარი და თავის პორტფელში ჩააბრუნა, კადრების უფროსი ამ დროს მის წინაშე. ხელმოცარული აბიტურიენტების ფოტოებს შლიდა. უცებ გამომძიებელს რაღაც მოეჩვენა. მან ორი სურათი აიღო — ერთი ფილიალისა და მეორე — თავისი, ჯგუფური, გადაღებული წუხანდელი ჩხუბის დროს, და ერთი მეორეს გვერდზე მიუდო.

— ეს ერთი კაცი არაა? — თქვა მან.

— ერთია! — დაუდასტურა კადრების უფროსმა.

— დავით ალექსანდრეს-ძე გუნია! ეს ყმაწვილი ახლა ბაკურიანის სასტუმროში ცხოვრობს და თავს ლაურეატად ასაღებს! მახსოვს, როდის აბარებდა!

— ორი წლის წინათ. ახლა მუშაობს ტექნიკოსად გამოთვლით ცენტრში.

სულაძემ შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

— მათხოვეთ ეს სურათები! დარაჯისაც გექნებათ.

— დიახ, სიამოვნებით.

რამდენიმე წუთის შემდეგ სულაძე უკვე გარაჟის უფროსის მაგიდასთან იჯდა.

— გელაშვილს დამიძახეთ!

ცოტა ხანში გარაჟის უფროსმა ნაცნობი ტაქსისტი შემოუშვა და კარები გაიკეტა.

— ვერ ნახე ის შენი კლიენტი? — შესავლის გარეშე ჰკითხა მას სულაძემ.

— ვერა, უფროსო. არ დამიჯერებ, საცა ბიჭები დგანან, ვჩერდები და ვათვალიერებ, ვერ ვნახე!

— მისი სახე ხომ არ დაგავიწყდა?

— არა, უფროსო, რა დამავიწყებს? კარგად მახსოვს.

— თბილისიდან გასული იქნება, — გამომძიებელმა გამომცდელად შეხედა ტაქსისტს, რომელსაც სახე წელანდელივით შეუვალი ჰქონდა.

— გასული რად იქნება, უფროსო? იმან ხომ არ იცის, რომ ეჭვი მასზე გაქვთ? მარტო ის იცის, რომ სადღაც საცხისი დაუკარგავს, ესე იგი ბაკურიანს არ მიეკარება და მორჩა!

— კარგი. ამათში რომელს იცნობ? — სულაძემ სურათები, დარაჯის სურათის ჩათვლით, შოფერს წინ გაუშალა. ტაქსისტმა ვერც ერთი ვერ იცნო.

— ამათში! აბა, კარგად ნახე!

შოფერს ახლა ბაკურიანში გადაღებული ჩხუბის კადრები ეჭირა. უცებ სახეზე კუნთი შეუტოკდა. მაგრამ მაშინვე თავი დაიჭირა, ასე რომ გამომძიებელი დარწმუნებულიც კი არ იყო, რომ თვალმა არ მოატყუა.

— არა, უფროსო, ვერ ვიცანი, — თქვა მცირე დუმილის შემდეგ, — აი ეს? არა, ამასაც ვერ ვცნობ. ერთ ბიჭს მივამსგავსე, ჩვენს უბნელს.

— ვინ არის, რა გვარია?

— გვარი არ ვიცი, უფროსო, ისე ჩვენს უბანში მინახავს.

— სტყუი, დათიკო! — უთხრა გამომძიებელმა.

ტაქსისტის თითქოს მშვიდსა და ნათელ გამოხედვაში, ისევე როგორც ადრე, იგი რაღაც სიყალბეს გრძნობდა, — მითხარი, რატომ სტყუი, რატომ მეუბნები, რომ იცნობ, როდესაც არ იცნობ!

— რა ვქნა, უფროსო? გინდა თუ არა, რამე თქვიო, რაც არ ვიცი, რა გითხრა? შამხვდება — ჩემი თავი შენი ფეშქაში. გინდა, ადგილზე მივიდეთ. ჩემი მანქანით წაგიყვან. შენ ოღონდ გარაჟის უფროსს უთხარი. თუ ბაკურიანშია ის ჩემი კლიენტი, ორ დღეში მოგინახავ!

გამომძიებელი ყოყმანობდა. შოფერი რაღაცას სტყუის — ეს უდავოა. მაგრამ რაღა ახლა მოინდომა ბაკურიანში წასვლა. მას შემდეგ, რაც სურათები ნახა? აკი მანამდე ამბობდა, მკვლელი ბაკურიანში არ წავიდოდაო. ახლა რად შეიცვალა ტაქტიკა? ვითომ, მართლა ძიების უანგარიშო შიში ალაპარაკებს? იქნებ სურათებში დაინახა ისეთი რამ, რომ გადაწყვიტა ვიღაცა ნახოს, გააფრთხილოს, ტყუილი ჩვენებით ძიებას დრო გააცდენინოს?

— არა, შენ აქ დარჩები! — თქვა ბოლოს მკვეთრად, — ჰო, რა ხარ! რაც მიწის ზეით ჩანხარ, ორი იმდენი კიდევ მიწის ქვევით ხარ!

შოფერმა არარაფერი უპასუხა, მხოლოდ ჩაიცინა, თითქოს ქებას ეუბნებოდნენ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# მსოფლიო ჩემპიონატის დღეები

ეროვნული ბიბლიოთეკა




მეხიკოში შუაღამისას ჩავედით. უზარმაზარი „ბოინგი“ მძიმედ მიუახლოვდა აეროპორტის მთავარ შენობას. ღამის ორ საათზე ზარზეიმით შეხვედრას არ ველოდით. წინასწარ ვიცოდით, რომ მხოლოდ ჩვენი მასპინძელი ფირმის წარმომადგენლები დაგვხვდებოდნენ. უცებ, ამ მცირერიცხოვან დამხვდურებს შორის ნაცნობ სახეებს მოვკარით თვალი. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შორიდან გვიღიმოდნენ კაჩალინი, პარამონოვი და მურთაზ ხურცილავა.

— რატომ არ გძინავს? — ეს იყო პირველი შეკითხვა, რომელიც მურთაზს მივეცით მისალმების შემდეგ.

— პირველ თამაშზე ვერ გამოვალ! — ნაღვლიანად გვიპასუხა მან და მტკივან ფეხს დახედა, — ჯერ კიდევ მაწუხებს, მაგრამ არაფერია, ბელგიელების წინააღმდეგ აუცილებლად ვითამაშებ.

საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელებს შეკითხვები სეტყვასავით დავაყარეთ. უიმედობა არ ეტყობოდათ. პირიქით, მომეჩვენა, რომ წარმატების იმედიც ჰქონდათ. მაგრამ მურთაზ ხურცილავას ძუნწი მინიშნებებიდან მაინც მივხვდი, რომ გუნდში ყველაფერი რიგზე ვერ იყო. სამწუხაროდ, თბილისელი ფეხბურთელი მართალი აღმოჩნდა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ოტელი „ვირეიასი“, სადაც ჩვენ მოგვათავსეს, ქალაქის ცენტრში მდებარეობს. სანამ ოთახებში გაგვანაწილეს, ირიჟრაჟა კიდეც. ბარგი სახელდახელოდ მივყარეთ და იმავე წუთში ქუჩებს მივაშურეთ. 8-მილიონიანი ქალაქი იღვიძებდა. რეკლამები უკვე გაფერმკრთალებულიყვნენ. ქუჩები ერთბაშად აივსო მანქანებით. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ისმოდა საყვირზე შესრულებული მექსიკური მელოდიების დასაწყისები... ეს ავტომობილების მუსიკალური სიგნალები იყო, რაც ძალზე უყვართ მექსიკაში.

უზარმაზარი ქალაქის ყოველ კუნჭულში იგრძნობოდა გამოცოცხლება, მომავალი დიდი ასპარეზობის მოლოდინი. გამახსენდა 1966 წლის ლონდონი ჩემპიონატის გახსნის წინ. დიდი ბრიტანეთის დედაქალაქს არც კი ეტყობოდა, რომ სულ რამდენიმე საათში იქ უნდა დაწყებულიყო მსოფლიოში ყველაზე მიმზიდველი და პოპულარული ასპარეზობა. მეხიკოში კი ყოველი ქუჩა, ვიტრინა თუ სკვერი მოახლოებული ჩემპიონატის სუნთქვას გაგრძნობინებდა. მაღაზიის ვიტრინები მორთული იყო სხვადასხვა ზომის ბურთებით, პლაკატებით. ხელსაყრელ მომენტს არ ჰკარგავდნენ არც საავტომობილო მაღაზიების მფლობელები. უზარმაზარ ვიტრინებს სახელდახელოდ მისცეს საფეხბურთო მოედნის სახე, სადაც ნატურალური სიდიდის კარის ბადეში ბურთის ნაცვლად გახვეული იყო ამერიკული „მუსტანგები“.

მექსიკელ გულშემატკივრებს უკვე დიდი ხანია დაწყებული ჰქონდათ სამზადისი. ამაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მექსიკის რადიო და ტელევიზია. სწორედ ისინი აზეპირებინებდნენ ხალხს სხვადასხვა შეძახილებს. მოვიყვან ერთი საკმაოდ გრძელი შეძახილის უკანასკნელ ნაწილს: „...ალავიო, ალავიო, ალავ-ბიმ-ბომ-ბამ, მეხიკო, მეხიკო, რა-რა-რა!“. მთელს ამ შეძახილში მხოლოდ ერთადერთი სიტყვა—მეხიკოა რეალური, დანარჩენები კი არაფრის გამომხატველი ბგერათ შეთანხმებებია, და მეტი არაფერი, რომელთა წარმოთქმასაც გარკვეული მუსიკალური ნიჭი სჭირდება.

მექსიკელები განსაკუთრებით ანტაგონისტურად იყვნენ განწყობილნი მსოფლიო ჩემპიონების — ინგლისელების მიმართ. ეტყობა, თავის დროზე მექსიკის და საერთოდ, ლათინური ამერიკის პრესამ ძალზე მუქი ფერებით გააშუქა ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც მსაჯებმა და ჩემპიონატის ორგანიზაციამაც საფუძვლიანი ეჭვისა და კრიტიკის საბაბი მისცა მთელს სპორტულ სამყაროს. მექსიკის ფოლკლორის თეატრში პირველ ნომრად გვიჩვენეს სპორტული კომპოზიცია „მეხიკო-70“. ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნების ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ ქალიშვილებს, სათანადო მუსიკის თანხლებით, სცენაზე გამოჰქონდათ მათი ეროვნული ალმები. დარბაზში გამაყრუებელი სტვენა და ფეხების ბრახუნი ატყდა, როცა სცენაზე ინგლისის დროშა გამოიტანეს. მექსიკელები განსაკუთრებით უჭერდნენ მხარს დასავლეთ გერმანელ ფეხბურთელებსაც, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ ისინიც უსამართლოდ დაჩაგრეს ინგლისის ჩემპიონატში.

ერთი სიტყვით, მთელი მექსიკა მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადებოდა: გამალებული ემზადებოდა მექსიკის პოლიციაც. იმ სასტუმროებს, სადაც ფეხბურთელები იყვნენ დაბანაკებულნი, დიდის ყურადღებით სდარაჯობდნენ პოლიციელები და საპოლიციო მანქანები. ფეხბურთელებთან მოხვედრა გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ჩვენ სათანადო ნებართვის აღება დაგვჭირდა, რომ ნებისმიერ დროს დაუბრკოლებლად შევსულიყავით საბჭოთა ფეხბურთელებთან. ასეთი სიფხიზლე მარტო იმით როდი იყო გამოწვეული, რომ აბეზარ ჟურნალისტებს ან გულშემატკივრებს ფეხბურთელთათვის მყუდროება ან სპორტული რეჟიმი არ დაერღვიათ. მექსიკის მთავრობას ძალზე ეშინოდა რომელიმე ფარული, პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებს ფეხბურთელები არ მოეტაცებინათ. ლათინურ ამერიკაში დიდად გავრცელებული ხერხია ცნობილი პიროვნებების გატაცება და მის სანაცვლოდ პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების მოთხოვნა. სულ რამდენიმე თვის წინ გვატემალაში გაიტაცეს დასავლეთ გერმანიის ელჩი და მისი თავის სანაცვლოდ მოითხოვეს ოცდაათი თუ ორმოცი პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლება. როცა გვატემალის მთავრობამ წაყენებულ პირობებზე უარი განაცხადა, დასავლეთ გერმანიის ელჩი მოკლეს. მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ბრაზილიაში გაიტაცეს კვლავ დასავლეთ გერმანიის ელჩი და მის სანაცვლოდ მოითხოვეს 40 პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლება. გვატემალის ამბებით შეშინებულმა ბრაზილიის მთავრობამ იმავე წუთში განაცხადა თანხმობა და ის ორმოცი პატიმარი, წაყენებული პირობის თანახმად, მაროკოში წაიყვანა გასანთავისუფლებლად. ჩვენმა მკითხველმა წარმოიდგინოს, რამდენი პოლიტიკური პატიმარის განთავისუფლება გახდებოდა საჭირო, პელე ან ჟაირზინიო რომ გაეტაცებინათ. ჩვენ რამდენჯერმე ვიყავით საბჭოთა ფეხბურთელებთან ერთად კინოში, ავტობუსებს წინ ყოველთვის მიუძღოდნენ მოტოციკლისტი პოლიციელები, უკან კი გზას კეტავდა ორი საპოლიციო მანქანა.

გარდა ამისა, მექსიკის მთავრობამ კარგად გაითვალისწინა ორი წლის წინანდელი გაკვეთილები, როცა მეხიკოში ოლიმპიური თამაშების გახსნის წინ მომხდარ სისხლისმღვრელ შეტაკებაში დაიღუპა 273 ადამიანი. მაშინ დაშავდა ორი ათასი კაცი, ხოლო რამდენიმე ათეული სტუდენტი დღესაც ციხეში ზის. მექსიკის მთავრობას ეშინოდა, რომ მათი პოლიტიკით უკმაყოფილო სტუდენტებს მსოფლიო ჩემპიონატის გახსნა ახალი მანიფესტაციებისათვის არ გამოეყენებინათ და სპეციალური საწვრთნელი ვარჯიშები ჩაატარეს; თვით მეხიკოში შეარჩიეს 5000 ტანმოსული პოლიციელი. ეს არც ისე ადვილი საქმე იყო, რადგან მექსიკელები, საერთოდ, ტანმორჩილნი არიან. პოლიციის განკარგულებაში იყო აგრეთვე 600-მდე ავტომანქანა და რამდენიმე ათეული ამერიკული ჯავშნოსნები, რომლებსაც სტუდენტებმა კუბოები შეარქვეს; ერთი სიტყვით, ამ ღონისძიებების ჩატარებით კმაყოფილი მეხიკოს მერი ალფონსო კორონა დელ როსპლი საკმაოდ მშვიდად გრძნობდა თავს.

და აი, დადგა ჩემპიონატის გახსნის დღეც. „აცტეკა“ მზად იყო საფეხბურთო დღესასწაულისთვის, მსოფლიოს ყველაზე საუკეთესო სტადიონი გულშემატკივრებს ელოდა. მისი პროექტი ეკუთვნის სახელგანთქმულ არქიტექტორს პედრო რამირეს ვასკესს. სტადიონი კონსტრუქციულად ისეა გადაწყვეტილი, რომ ძალზე მალე იცლება. გიგანტურ ნაგებობას ირგვლივ აკრავს ესტაკადები, რომლებიც შემდეგ ავტოსტრადებს და მანქანების სადგომ მოედნებს უერთდება. სტადიონის ირგვლივ განლაგებულ მოედნებზე 50 ათასი ავტომობილი და ავტობუსი ეტევა. სტადიონის შუა სარტყელში მოთავსებულია 700-ზე მეტი ლოჟა. თვითეული 6 ან 9 ადგილიანი. ამ ლოჟებს აქვს საკუთარი ოთახი, აბაზანა, მაცივარი, ტელევიზორი. ლოჟებს ირგვლივ შემორტყმული აქვს საკუთარი ესტაკადა, რომელიც ორ ადგილას უერთდება ავტოსტრადას, ისე, რომ არსად არ გადაჰკვეთს იმ ადგილებს, რომლებიც დანარჩენი გულშემატკივრებისათვის არის განკუთვნილი. მანქანების სადგომიც იქვე, ლოჟის პირდაპირ აქვთ გამოყოფილი. ასე რომ, მათი პატრონები ყოველგვარი დაბრკოლების ან შეფერხების გარეშე პირდაპირ ლოჟასთან მიდიან მანქანით. ლოჟები გაყიდულია 99 წლით. ადვილი მისახვედრია რაოდენ სქელი ჯიბის პატრონები იქნებიან ამ ლოჟების მფლობელები. „აცტეკაზე“ არც თუ ისე ხშირად გაიმართება მიმზიდველი ასპარეზობები, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ იქ ერთი ლოჟა შენს სახელზეა ჩაკეტილი, ძალზე ბევრს ნიშნავს მექსიკელ მილიონერთა შორის.

ჩემპიონატის გახსნის დღეს „აცტეკას“ მისადგომები საფუძვლიანად დაეკავებინათ სუვენირებით მოვაჭრეებს, მაგრამ მათთვის არავის ეცალა. სტადიონზე ორი საათით ადრე მივედით, მაგრამ ეს უზარმაზარი ნაგებობა უკვე ვულკანის კრატერივით გუგუნებდა. სულმოუთქმელად ავირბინე ფართო ესტაკადა და ტრიბუნაზე შევედი. ჩემს წინ დიდებული, გრანდიოზული სანახაობა გადაიშალა. ფერადი რეკლამებით მორთული და სხვადასხვაფერად შეღებილი ტრიბუნები, ფერადი დროშების ტყე და ასაფრენად გამზადებული ათასობით ფერადი ბუშტი, ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი 115 ათასი კაცი, მწვანედ აბიბინებული და ლამაზად დავარცხნილი დიდებული მოედანი, გულშემატკივართა ომახიანი შეძახილები, საყვირების გრიალი და დოლების გუგუნი... დიდებული, დაუვიწყარი სანახაობა იყო. არც კი გაგვიგია, დრო როდის გაიპარა და აი, საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილი უზარმაზარი სამხედრო ორკესტრი ასრულებს მექსიკის ჰიმნს. მთელი სტადიონი ფეხზე გაიჭიმა, ასი ათასი კაცის სიმღერამ სტადიონის ტრიბუნები შეაზანზარა. მღელვარებისაგან გული ყელში მოგვებჯინა, ზოგიერთებს თვალზე ცრემლიც კი ჩამოუგორდათ.

**(გაგრძელება იქნება).**

**გურამ ფანჯიკიძე.**

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# მოზაიკა



## „თუ მთა არ მიდის მაჰმადთან“...

„თუ მთა არ მიდის მაჰმადთან, მაშინ მაჰმადი მივა მთასთან“... ფიქრობენ, რომ ამ გამოთქმის წყაროა ერთი ანეკდოტური მოთხრობა, რომელიც შეეხება ახლოაღმოსავლეთის ხალხების ფოლკლორის პოპულარულ გმირს — ხოჯა ნასრედინს. ერთხელ, როცა ნასრედინი წმინდანად ასაღებდა თავს, შეეკითხნენ თუ რა სასწაულის მოხდენა შეუძლია. „ვუბრძანებ პალმის ხეს მომიახლოვდეს და ისიც დამემორჩილებაო“, — მიუგო ხოჯამ; როცა, მიუხედავად ბრძანებისა, ხე ადგილიდან არ დაიძრა, მაშინ ხოჯამ წარმოთქვა: „ჩვენ, წინასწარმეტყველები და წმინდანები თავმდაბალი ადამიანები ვართ. რაკი ხე არ მოდის ჩემთან, მაშინ მე მივალ მასთან“. ეს მოთხრობა მოთავსებულია არაბულ კრებულში, რომელიც როგორც ფიქრობენ, 1631 წელს უნდა იყოს შედგენილი. მარკო პოლო მოგვითხრობს დაახლოებით ახეთსავე ამბავს, მაგრამ მის ჩანაწერებში პალმის ხე შეცვლილია მთით. პავლე მოციქულის ეპისტოლეში კორინთელებისადმი აღნიშნულია, რომ რწმენას შეუძლია მთები დაძრას ადგილიდან. და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი, ჯერ კიდევ 1597 წელს თავის „მორალურსა და პოლიტიკურ ნარკვევებში“ მოგვითხრობს ლეგენდას იმის თაობაზე, თუ როგორ აღუთქვა მაჰმადმა ხალხს მთას ადგილიდან დავძრავო და როცა ეს ვერ შეძლო, წამოიძახა: „რას იზამ! რაკიღა მთას არ უნდა მაჰმადთან მოსვლა, მაშინ თვითონ მაჰმადი მივა მთასთან“.



## მრგვალი მაგიდის გარშემო

ადრეული შუასაუკუნეების რაინდულ ლიტერატურაში დიდი პოპულარობა ჰქონდა მოხვეჭილი რომანების ციკლს მეფე არტურზე და მრგვალი მაგიდის რაინდებზე. ამ ციკლის ერთ-ერთ რომანში ჯადოქარი მერლინი წინადადებას აძლევს ბრიტების ბელადს უტერს (არტურის მამას), რათა მან დააარსოს მრგვალი მაგიდის რაინდული ორდენი. ამ ორდენის რაინდები, მეფესთან გამართული ნადიმის დროს, მრგვალი მაგიდის გარშემო უნდა დამსხდარიყვნენ, რათა დავა არ დაეწყოთ კარგი და ცუდი ადგილისათვის და ყველას თანასწორად ეგრძნო თავი. საერთაშორისო თათბირებზე მრგვალ მაგიდას იყენებენ დიპლომატიური ცერემონიალის თვალსაზრისით, რათა ხაზი გაუსვან იმას, რომ მოლაპარაკების მონაწილენი თანასწორუფლებიანი არიან.

## ვინც არ მუშაობს, ის არ სჭამს

ეს გამოთქმა აღებულია პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლედან თესალონიკელებისადმი. მას შემდეგ იგი მსოფლიოს თითქმის ყველა ენაში დამკვიდრდა. ჩვენ დროში იგი იხმარება იმის გამოსახატავად თუ რაოდენ დაუშვებელია პარაზიტული უქმად ყოფნა, შრომისადმი თავის არიდება.

„საქმე მოციქულთას“ ძველ ქართულ თარგმანში ამ ფრაზას ასეთი სახე აქვს: „უკეთუ ვისმე არა უნებს საქმე, ნუცა ჭამნ“.

## თაფლობის თვე

აღმოსავლურ ფოლკლორში გამოთქმული აზრი, რომ ქორწინების პირველი ბედნიერება სწრაფ წარმავალია და ხშირად მწარე იმედგაცრუებით იცვლება, ვოლტერმა გამოიყენა თავის ფილოსოფიურ რომანში „ზადიგი, ანუ ბედი“ (1747 წ.). ამ რომანის მესამე თავში იგი წერს: „ზადიგმა გამოსცადა, რომ ქორწინების პირველი თვე, როგორც ეს ზენდის წიგნშია აღწერილი, არის თაფლობის-თვე, მეორე თვე კი აბზინდასავით მწარეა“. ვოლტერის რომანიდან ეს გამოთქმა, რომელიც ქორწინების პირველ თვეს გულისხმობს, მრავალ ენაში შევიდა და, მათ შორის, ქართულშიც. ამ გამოთქმას ხმარობენ რაიმე კარგად წამოწყებული საქმის დასახასიათებლადაც.



## ჰანიბალის ფიცი

ჰანიბალის ფიცი დასდო, — იტყვიან ხოლმე იმ შემთხვევაში, როცა ადამიანი მტკიცედ გადაწყვეტს ბოლომდე ებრძოლოს ვისმეს ან რამეს. პოლიბიუსისა (დაახლოებით 201-120 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) და სხვა ძველი ისტორიკოსების ცნობით, კართაგენის მთავარსარდალი ჰანიბალი (247-183 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) თურმე ჰყვებოდა, რომ ათი წლის ასაკში მამამ დაადებინა ფიცი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ყოფილიყო შეურიგებელი მტერი რომის იმპერიისა,



რომელმაც კართაგენი თავის კოლონიად აქცია. თავისი ფიცი ჰანიბალმა შეასრულა კიდეც — სიცოცხლის ბოლომდე ებრძოდა რომს.



## იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის

ეს გამოთქმა ეკუთვნის ფრანგ მწერალ ჟან პიერ ფლორიანს (1755-1794 წ.). „კარგად გაიცინებს ის, ვინც ბოლოს გაიცინებს“, ასეთი ფრაზა იხმარა მან თავის იგავში „ორი გლეხი ქალი და ღრუბელი“. მის შემდეგ ესგამოთქმა ხშირად იხმარება როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებებში, ისე ყოველდღიურ საუბარში.

გარეკანის პირველ გვერდზე: მოწინავე მეფრინველე. ფოტო ო. თურქიასი.
მეოთხე გვერდზე: დიდი ჯიხაიშის „წითელი ოქტომბრის“ კოლმეურნეობაში. ფოტო ნ. ანთიძისა.


მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 7/VIII-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VIII-70 წ. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 3.
პირობით ნაბეჭდი ფურცელი 4,2. ტირაჟი 46.000. შეკვ. № 2379. უე 02164.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

# გიგლა ფირცხალავა

ცნობილი მხატვარი გიგლა ფირცხალავა ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში იმყოფებოდა მექსიკაში. აქ ვაქვეყნებთ ცალკეულ ჩანახატებს მისი მექსიკური ალბომიდან.



მუშტრის მოლოდინში.



ბაზრისაკენ.

ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლთან.





ფეხბურთის ფანატიკოსები.



პაემანზე.

ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა

